# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№16 (1526) 22-24 თებერვალი, 1997 წელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## მათ ზვიადის საფლავი ცარიელი დახვდათ...

მესამე გვერდი

## აკაკი ბაქრაძე: თავად კორუმპირებულები გაჰკივიან — არიქა, დასცხეთო კორუფციას!

მეორე გვერდი

## ფართი ნახეთ, ფული ნახეთ და ჩაგვწერეთ! — ასე იყო ადრე...

ახლა ასე აღარ იქნება. ჩაწერა გაუქმებულია. მოქალაქენო, თქვენი უფლებების დასაცავად უნდა იცოდეთ კანონი რეგისტრაციის შესახებ, რომელსაც წაიკითხავთ მე-4 გვერდზე.

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

## მიხეილ ჯავახიშვილი

მეხუთე გვერდი

## საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარი

*საქართველოში სულ 25000-ზე მეტი გვარია. პირველ ათასეულში შედიან შემდეგი გვარები: (შენიშვნა – გვარის წინ მოთავსებული ციფრი გვიჩვენებს რაოდენობის მიხედვით ადგილს, გვარის შემდეგ მოთავსებული ციფრი კი ამ გვარის რაოდენობას)*

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო" №14,15.

401. გრძელიშვილი 2079
402. დგებუაძე 2079
403. კვერნაძე 2078
404. ვარდოსანიძე 2076
405. სირბილაძე 2074
406. ჭანტურიძე 2074
407. ფარულავა 2073
408. ელიზბარაშვილი 2072
409. კაკაურიძე 2071
410. ბიგვავა 2064
411. აივაზიანი 2061
412. იოსელიანი 2055
413. ურუშაძე 2054
414. გერგედავა 2051
415. გაბედავა 2039
416. სურმავა 2039
417. ანთია 2033
418. ვარშანიძე 2031
419. ჯაიანი 2029
420. გოგსაძე 2027
421. ხარაბაძე 2014
422. მიქაბერიძე 2013
423. ყალიჩავა 2010
424. აკოპიანი 2009
425. ზარიძე 2007
426. ფრუიძე 2006
427. ილურიძე 2005
428. მერებაშვილი 1997
429. მუსაევი 1997
430. ქევხიშვილი 1996
431. კვაჭაძე 1993
432. ელბაქიძე 1991
433. ქამადაძე 1991
434. აკოფოვი 1987
435. ცირეკიძე 1981
436. გრიგოლია 1978
437. კვიციანი 1978
438. კოკაია 1974
439. მამალაძე 1974
440. ნიქაბაძე 1974
441. ბალიაშვილი 1972
442. რატიანი 1969
443. გასპარიანი 1966
444. თევდორაძე 1966
445. ანდღულაძე 1961
446. გაბრიჭიძე 1958
447. ვალიევი 1954
448. მალანია 1947
449. როსტიაშვილი 1946
450. შეყილაძე 1946
451. გვალია 1945
452. კუჭუხიძე 1945
453. კუხალაშვილი 1940
454. ენუქიძე 1935
455. ლემონჯავა 1935
456. კეკელიძე 1930
457. კუპრეიშვილი 1928
458. ბიბილაშვილი 1922
459. კუხიანიძე 1921
460 ხარაზიშვილი 1921
461. ცარციძე 1918
462. გეგეშიძე 1911
463. ოთარაშვილი 1908
464. ნეფარიძე 1907
465. ლამბაშიძე 1906
466. ხარატიშვილი 1904
467. მელქაძე 1898
468. კირთაძე 1893
469. მაზმიშვილი 1893
470. ლოლაძე 1890
471. დევდარიანი 1888
472. შანავა 1887
473. ხვიჩია 1886
474. კირაკოსიანი 1878
475. კობიაშვილი 1875
476. შარაშენიძე 1875
477. ბანძელაძე 1874
478. სოხაძე 1870
479. ადუაშვილი 1868
480. ბუჩუკური 1865

გაგრძელება მე-7 გვ.

## ლატარეა ყველასათვის

ლატარია «დაბადების დღე»

## კაიფვორდი

• რა, როდის და რომელ არხზე

იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

მეშვიდე, მერვე გვერდი




მ. აბაშიძის ნახატი

# აკაკი ბაქრაძე: თავად კორუმპირებულები გაჰკივიან — არიქა, დასცხეთო კორუფციას!



ასეთ ვითარებაში, რაც ამჟამად საქართველოშია, ხალხი სიტყვას აღარ დაუჯერებს. ბევრი ყოფილა სიტყვა, ბევრი ყოფილა დაპირება. არცერთმა არ გაამართლა. მოტყუებული ხალხი ახლა მხოლოდ საქმეს თუ ენდობა. თუ დაინახა ხალხმა, რომ რაღაც საქმე კეთდება, შეიძლება მაშინ გაუჩნდეს ნდობა, მაშინ დაებადოს იმედი. თუ ვინმეს ხალხის ნდობის მოხვეჭა სურს, მან საქმე უნდა აკეთოს. საქმე კონკრეტული და ადვილად დასანახი.

თქვენც ჩივით და სხვისგანაც ბევრჯერ გამიგონია — ხალხი პასიური გახდა. ყველაფერს გულცივად და ხელჩაქნეული უყურებსო. ხალხი არ გამხდარა არც პასიური, არც გულგრილი და არც ხელჩაქნეული. იგი უნდობელი გახდა. აღარ უნდა კიდევ მოტყუებული დარჩეს. გაცუცურაკებულ-გაპამპულებული აღმოჩნდეს. ამიტომ ფრთხილად იქცევა. უნდა უფრო წინდახედული აღმოჩნდეს, ვიდრე ადრე იყო.

დააკვირდით: ქართველი ხალხი (ყველა ხალხი, რომელიც სსრკ-ის ტერიტორიაზე ცხოვრობდა) ენდო სოციალისტებს. სამოცდაათ წელიწადზე მეტი აშენა სოციალისტური სისტემა. მიწიერი სამოთხის მოლოდინში ყველა გასაჭირი აიტანა. ამის შედეგად კი, ბოლოს, ტყუილის მსხვერპლი გახდა. სოციალისტური სისტემა დაინგრა. მისგან ნაცარტუტა დარჩა, ახლა ხალხი იძულებულია უკან, 1917 წელში, დაბრუნდეს. ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ტანჯვა-გვემაში გამოვლილი სამოცდაათი წელი დაივიწყოს და რასაც უარყოფდა, ისევ ის იწამოს. ახალი საზოგადოებრივი სისტემის მშენებლობას შეუდგეს.

და ჩვენ გვინდა, რომ ასე მწარედ მოტყუებული ხალხი აქტიური იყოს, ლიტონ დაპირებებს ენდოს? ასე არ ხდება.

ქართველი ხალხი ენდო ეროვნულ-გამანთავისუფლებელ მოძრაობას. გაჰყვა მას ერთგულად, ლიანგურად. იმედოვნებდა: ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება ყველა იმ ტკივილს მოუშუშებდა, რაც სოციალიზმმა მიაყენა. აქაც მოტყუვდა, აქაც გაბითურდა.

ხალხი იმედოვნებდა: საქართველო იქნებოდა ერთიანი, მთლიანი, ძლიერი. მოხდა კი პირიქით: საქართველო დაიშალა და დანაკუწდა. წაგვართვეს აფხაზეთი, შიდა ქართლის დიდი ნაწილი. საქართველოს სხვა ტერიტორიასაც ემუქრება წართმევა. ჩვენ კი არავითარი ძალა არ აღმოგვაჩნდა თავდაცვისა, წინააღმდეგობის გაწევისა. სამარცხვინოდ დამარცხებული აღმოვჩნდით.

ხალხი იმედოვნებდა: როცა საქართველო იქნებოდა დამოუკიდებელი, იგი გახდებოდა ეკონომიკურად ძლიერი, განათლებული, კულტურულად ამაღლებული. მოხდა კი პირიქით: ეკონომიკა პირწმინდად მოიშალა. დაეცა განათლება და კულტურა. განათლებისა და კულტურის მუშაკები სავალალო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, აღარც მრეწველობა გვაქვს და აღარც სოფლის მეურნეობა, ფაბრიკა-ქარხნები გაიძარცვა და გაიქურდა, დაინგრა და დაიშალა. ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, ვენახები გაიჩეხა და განადგურდა. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ ქართველი ადამიანი მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვიტა და სხვადასხვა ქვეყანაში გააგდო საწანწალოდ. ქართველმა ქალებმა მსოფლიოს საროსკიპოები გაავსეს. ქართველმა მამაკაცებმა — მსოფლიოს შავი ბაზარი. ქართველი ბავშვები ქუჩებშია გამორეკილი სამათხოვროდ.

და ჩვენ გვინდა, რომ ასე მწარედ მოტყუებული ხალხი აქტიური იყოს, ლიტონ დაპირებებს ენდოს? ასე არ ხდება.

ჩვენ გვინდა აქტიური იყოს ხალხი, რომელიც ვერ გარკვეულა, რა ხდება მის თავს. გაოგნებული ხალხი უყურებს: ისინი, ვინც გუშინ ინტერნაციონალიზმსა და კომუნიზმის ნათელ მწვერვალებს დაუზარებლად უწევდნენ პროპაგანდას, დღეს ეროვნულ იდეალებსა და დამოუკიდებლობაზე ქადაგებენ. ისინი, ვინც გუშინ მამალი ათეისტები იყვნენ, დღეს ღრმად „მორწმუნე" ქრისტიანები არიან. ისინი, ვინც გუშინ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის პორტრეტებით რთავდნენ ოთახ-კაბინეტებს, დღეს ქრისტიანი წმინდანების ხატებს იკიდებენ. ეს ადამიანები ქვეყნის მეთაურობას და მმართველობას იჩემებენ. რით უშველეს მათ საქართველოს კომუნისტური რეჟიმის დროს და რით უშველიან დღეს? არავინ უწყის. ამ დაბნეულ ვითარებაში ხალხი ველარ მიმხვდარა — სად არის სიმართლე და სად — ტყუილი. ხალხი, რომელმაც არ იცის სად არის ტყუილი და სად — სიმართლე, აქტიური ვერ იქნება. იგი ყველაფერზე ხელს ჩაიქნევს და გულხელდაკრეფილი დაელოდება უცნობ მომავალს. ამ გაოგნებულობისაგან ხალხს ცარიელი სიტყვა ველარ გამოიყვანს. მხოლოდ კონკრეტულ, რეალურ საქმეს შეუძლია ხალხის გამოფხიზლება. მოტყუებული ხალხი იმას ენდობა, ვის გაკეთებულ საქმესაც დაინახავს.

როცა ერთი საზოგადოებრივი წესწყობილება იშლება და მეორე უნდა დამკვიდრდეს, ამ შუალედში ყოველი ხალხი იბნევა, სულიერ და ნივთიერ სილატაკეში ვარდება, ზნეობრივად ქვეითდება... ქართველ ხალხს იგივე დაემართა, რაც ყველა სხვა ხალხს დაემართებოდა მიეროხანში, ანუ ისეთ დროში, როცა ყველაფერი თავდაყირა დგას, ძაღლი პატრონს ვერ სცნობს, ხსნის გზა ჯერ ნაპოვნი არ არის. ყველა ხალხი, რომელიც სსრკ-ში ცხოვრობდა, ახლა ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორშიც ქართველი ხალხი. ხომ ხედავთ, რა ხდება რუსეთში. თავგზა აქვთ დაკარგული. ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ ნახევრადმკვდარი პრეზიდენტი მოვალეობისაგან გაანთავისუფლონ, მშვიდი სიკვდილის საშუალება მისცენ, არ აწამონ. გინდა თუ არა პრეზიდენტის მოვალეობა შეასრულეო, — ჩასჩიჩინებენ და ქვეყნის გადარჩენას მიცვალებულისაგან ელიან. აღარაფერს ვამბობ იმ ეკონომიკურ სიდუხჭირეზე, რაც რუსეთში სუფევს (წლობით ვერ იღებენ ადამიანები იმ მცირე ხელფასსაც კი, რომელიც მათ აქვთ, რის გამოც იფიცებიან მეშახტეები, ექიმები, მასწავლებლები და ა.შ.). გაიხრწნა და დაიშალა რუსეთის არმია. მძვინვარებს ტერორიზმი, რომლის წინააღმდეგ პოლიციას ვერაფერი მოუხერხებია. ერთი სიტყვით, მიეროხანში ყველა ხალხი ერთნაირად მძიმე და სავალალო მდგომარეობაში ვარდება. ბუნებრივია, ვერც ქართველი ხალხი იქნებოდა გამონაკლისი. ამან სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩაგვაგდოს. პირიქით, ახლა უნდა გამოიძებნოს ის ძალა, რომელიც ქვეყანასა და ხალხს მიეროხანის მდგომარეობიდან გამოიყვანს. ეს ძალა საკუთარ თავში უნდა იპოვოს როგორც მთელმა ქართველმა ხალხმა, ისე თითოეულმა ჩვენთაგანმა. ვაჟა-ფშაველა გვირჩევს: „თვით უპატრონეთ თავის თავს, ნუ იმედოვნებთ სხვებზედა". საქართველოს ვითარება-მდგომარეობის გამოსწორებას, მართალია, დიდი დრო უნდა, დიდი ნებისყოფა და გონიერება („რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა", — ბრძანებს რუსთაველი), სჭირდება ნაბიჯ-ნაბიჯ მტკიცე სიარული მიზნის მისაღწევად, მაგრამ მაინც ყველაფერს ეშველება, ყველაფერი მოწესრიგდება.

ეს ბევრჯერ მითქვამს და ახლაც უნდა გავიმეორო: ქართველი ხალხი არც უკეთესია სხვა ხალხებზე და არც უარესი. თავისი ავ-კარგით ისეთივეა, როგორიც სხვები. ჩვენ ერთნაირ შეცდომას დავუშვებთ, თუ ვიფიქრებთ, რომ ქართველები სხვებს ვჯობივართ ანდა პირიქით, ქართველები სხვებზე უარესები ვყოფილვართ. ჩვენ გვაქვს ჩვენი ღირსება და ჩვენი ნაკლი. ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ. არც მეტისმეტად გავყოყოჩდეთ და არც სასოწარკვეთილებაში ჩავვარდეთ. როცა ჩვენს შესაძლებლობას სალად შევხედავთ, იმ გზასაც ვიპოვნით, რომელიც მიეროხანიდან გამოგვიყვანს.

კოლონიალიზმი, კოლონიურ მდგომარეობაში ყოფნა მარტო იმით კი არ არის მძიმე და ცუდი, რომ დამპყრობელი გჩაგრავს, არამედ უფრო იმით, რომ დაპყრობილ ხალხს ილუზიით ცხოვრებას აჩვევს. ქართველი ხალხი, საქართველო, საუკუნეების მანძილზე იმყოფებოდა კოლონიურ მდგომარეობაში. იგი 1801 წელს არ დაწყებულა. გაცილებით ადრე დაიწყო, როცა საქართველოს ხელისუფლებამ დაინახა, რომ ძალით, იარაღით ვერ გაუმკლავდებოდა ვერც თურქეთს და ვერც სპარსეთს, მფარველის, პროტექტორის ძებნას შეუდგა. ამ ძებნამ ქართველ ხალხში დაბადა კეთილი მფარველის, კეთილი პროტექტორის ილუზია. დიდი დიპლომატიური წვალებისა და ჯახირის შემდეგ, რუსეთს მიაპყრო საქართველომ იმედის თვალი. ილუზიის სუბიექტი რუსეთი გახდა. მოვიდა რუსეთი საქართველოში და ილუზია დაინგრა. იგი უფრო სასტიკი და დაუნდობელი დამპყრობელი აღმოჩნდა, ვიდრე თურქეთი და სპარსეთი იყო. მაგრამ ჩვენ არ გვინდოდა ილუზიას გამოვთხოვებოდით. ილუზია რომ გაგვემართლებინა, მისი თეორიული ახსნა მოვინდომეთ. ჯერ იმის მტკიცება დაიწყო, რომ არაფერი მომხდარა განსაკუთრებული. მხოლოდ სამეფო დინასტია შეიცვალა საქართველოში, ბაგრატიონების მაგიერ რომანოვები მოვიდნენო (დ.ყიფიანი). მერე ვაღიარეთ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, მართალია, ბოროტება იყო, მაგრამ უმცირესი ბოროტება. უფრო დიდი ბოროტება იქნებოდა, საქართველო თურქეთის ან სპარსეთის კოლონიად რომ დარჩენილიყო (სტალინი). ბოლოს იქამდე მივედით, რომ ესეც უარვყავით. ჩვენს ურთიერთობას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, სიტყვა ბოროტება არ შეშვენისო (ედ.შევარდნაძე). ქართული აზროვნება კეთილისმყოფელი რუსეთის ილუზიისაგან უნდა განთავისუფლდეს. ეს ილუზია მარტო დღეს კი არ არსებობს, სულხან-საბა ორბელიანის ეპოქაშიც არსებობდა.

სულხან-საბა ორბელიანი მარტო დიდი მწერალი არ არის. იგი დიდი პოლიტიკოსიც გახლავთ. იგი მკაფიოდ ხედავდა, რომ საქართველო ევროპული განვითარების გზას უნდა დასდგომოდა. მხოლოდ მაშინ დაუბრუნდებოდა ჩვენი ქვეყანა ისტორიული განვითარების მაგისტრალურ გზას. სხვათაშორის, ეს დღევანდელობამ ნათლად და უდაოდ გვიჩვენა. აზიის ის ქვეყნები, რომელთაც განვითარების ევროპული გზა აირჩიეს (იაპონია, სამხრეთ კორეა, ტაილანდი და სხვ.), ნივთიერადაც აღორძინდნენ და სულიერადაც, არც საკუთარი სახე და მე დაუკარგავთ. მაგრამ ს.-ს. ორბელიანს საქართველოში ბევრი მომხრე არ ჰყოლია. ქართველთა უმრავლესობა მაინც რუსეთისაკენ იყურებოდა. იგი მიაჩნდა მხსნელად. ამის საფუძველი ის იყო, რომ საქართველოც მართლმადიდებლური ქრისტიანული ქვეყანა იყო და რუსეთიც. მართლმადიდებლობა იდეოლოგიურად აჯაჭვავდა საქართველოს რუსეთს. თუ საქართველო ევროპაში დაინახავდა მფარველსა და პროტექტორს, მაშინ მას რელიგიური ორიენტაციაც უნდა შეეცვალა, სხვაგვარად ევროპა საქართველოთი არ დაინტერესდებოდა. არც მჭიდრო და მტკიცე კონტაქტი დამყარდებოდა მასთან. არც დამყარდა. რაკი საქართველომ რელიგიური ორიენტაცია არ შეიცვალა, იგი რუსეთის იმპერიის ნაწილი აღმოჩნდა. ევროპა ჩვენგან შორს დარჩა. იცით, მადლობის მაგიერ, ს.-ს.ორბელიანი დასაჯეს. სვეტიცხოვლის ეზოში წვერებით ათრიეს.

ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ამ საკითხზე ბევრი მაქვს დაწერილი. თუ ვინმეს ჩემი აზრი აინტერესებს, შეუძლია მისი წაკითხვა.

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ორიენტაციისათვის ბრძოლა დღესაც გრძელდება. ხომ ხედავთ, რა ორომტრიალია ატეხილი ნატო-ს გაფართოების გარშემო. როგორ ემუქრება რუსეთი აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიისპირეთის ქვეყნებს — ნატოში შესვლა არ გაბედოთ, თორემ ყურებს აგაგლეჯთო. მართალია, რუსეთი უკვე ველარავის ვერაფერს აგლეჯს, მაგრამ თავის ბოროტებას მაინც არ იშლის. არც მოიშლის, სანამ პირში სული უდგას. ამიტომ ჩვენ გვჭირდება მტკიცე, ურყევი პოზიცია, ისევ რუსებს მივჩანჩალებდეთ კუდში, თუ ბოლოსა და ბოლოს, ერთხელ და სამუდამოდ, ავირჩიოთ განვითარების ევროპული გზა. ეს პრობლემა ქართველთა დღევანდელმა თაობამ უნდა გადაწყვიტოს. მერე გვიან იქნება. ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის ორიენტაციის ქართველ პოლიტიკოსთა შორის, სულერთია მეფე იქნებოდა იგი თუ რიგითი ჩინოვნიკი, ს.-ს.ორბელიანზე ბრძენი და შორსმჭვრეტელი არცერთი არ ყოფილა. არც საქართველო ჰყვარებია რომელიმეს სულხან-საბაზე მეტად. არ იქნება ურიგო, ამას თუ გაითვალისწინებენ დღევანდელი პოლიტიკოსებიც.

რაც შეეხება სტალინს.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა შეამჩნია საქართველოს ისტორიის ერთი კანონზომიერება, რომელიც მან ასე გამოთქვა: „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინამცა გვენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი". როგორც ხედავთ, დავით აღმაშენებელს, პიროვნულად, როგორც პოლიტიკოსსა და მხედართმთავარს, გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდაო, ამბობს მემატიანე, ვიდრე საქართველო, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო, მას აძლევდაო. მაშასადამე, დასმულია პრობლემა ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობისა.

ეს პრობლემა ალექსანდრე მაკედონელის წინაშეც იდგა. პლუტარქეს სიტყვით, ყმაწვილ ალექსანდრეში როცა მამამ, მეფე ფილიპემ, შეამჩნია მსოფლიო დამპყრობელი, შვილს უთხრა თურმე: „შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევს!.." აქაც ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობის პრობლემა დგას. ალექსანდრესაც მძლავრი ქვეყანა სჭირდება, ის საქმე რომ გააკეთოს, რისი გაკეთებაც უფალმა დაავალა.

ნაპოლეონიც დგას ამ პრობლემის წინაშე. პატარა კორსიკა ვერ მისცემს მას იმ ძალას, რაც მას სჭირდება ევროპის დასაპყრობად. ამისათვის იგი საფრანგეთის იმპერატორი უნდა გახდეს.

ხედავთ, რომ ალექსანდრე მაკედონელს, დავით აღმაშენებელს, ნაპოლეონს ერთნაირად აქვთ გადასაწყვეტი ის პრობლემა, რასაც პიროვნების ძალისა და ქვეყნის ძალის შეუსაბამობა ვუწოდეთ. სტალინიც ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ბესო ჯუღაშვილი მეფე რომ ყოფილიყო, ალბათ, ისიც ფილიპე მაკედონელივით ეტყოდა შვილს: შენი შესაფერი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, საქართველო შენ ვერ დაგიტევს.

სტალინი მსოფლიო იმპერატორად გააჩინა უფალმა, ამიტომ მას ისეთი ქვეყანა სჭირდებოდა, რომელიც მსოფლიო იმპერატორობის საშუალებას მისცემდა. ასეთი ქვეყანა რუსეთი იყო. სტალინიც რუსეთის იმპერიის მბრძანებელი გახდა. იგი საქართველოში ვერ დარჩებოდა. იცით კარგად, ვეშაპები შავ ზღვაში არ არიან. პატარაა მათთვის შავი ზღვა და იმიტომ. ვეშაპს ოკეანე სჭირდება, რომ იცოცხლოს. ასევე სჭირდებოდა ოკეანე ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონს, სტალინს. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მათ თავიანთი პატარა სამშობლო არ უყვარდათ. მაგრამ უყვარდათ იმდენად, რამდენადაც ამის უფლებასა და საშუალებას დიდი ქვეყნების მბრძანებლობა აძლევდა. ნაპოლეონს კორსიკა იმდენად უყვარდა, რამდენადაც ამის უფლებას საფრანგეთის იმპერატორობა აძლევდა. სტალინსაც იმდენად უყვარდა საქართველო, რამდენადაც ამის უფლებას რუსეთის ხელმწიფობა აძლევდა. ეს ურთიერთობა ტრაგიკულია. ტრაგიკულია ქვეყანაც, რომლის შვილი თავის ძალასა და ნიჭიერებას სხვა ქვეყნის საკეთილდღეოდ ხარჯავს. ტრაგიკულია ადამიანიც, რომელიც სამშობლოს ნაცვლად სხვა ქვეყანას ემსახურება. მაგრამ ამ ტრაგიზმს ვერავინ ვერსად გაექცევა, რადგან უზენაესმა ინება ასე. ტრაგიკული იყო, როგორც პიროვნება, დავით აღმაშენებელიც, რადგან საქართველოს სიმცირემ მას არ მისცა საშუალება მისი კოლოსალური შესაძლებლობის განხორციელებისა. ამას დასტირის კიდეც მემატიანე.

ასე რომ, სტალინიც და საქართველოც მსხვერპლია იმ შეუსაბამობისა, რომელიც ეგზომ ბრძნულად ამოიცნო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა.

დასასრული. დასაწყისი იხილეთ „საქართველო" №15

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბაბკენ არარქციანის სიტყვა პარლამენტში

გუშინ საქართველოს პარლამენტში სიტყვით გამოვიდა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული საკრებულოს თავმჯდომარე ბაბკენ არარკციანი. თავის სიტყვაში მან მოკლედ მიმოიხილა ბოლო ექვსი წლის მანძილზე სომხეთში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები და აღნიშნა, რომ სომხეთისათვის კვლავ პრობლემად რჩება ენერგეტიკული კრიზისი, რომელმაც ხელი შეუშალა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მან მოუთხრო თავის კოლეგებს სომხეთის ეროვნული საკრებულოს მუშაობის ძირითადი მიმართულებების შესახებ და განაცხადა, რომ ამ ეტაპზე დამუშავების პროცესშია ახალი სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, სამოქალაქო სისხლის სამართლის პაკეტები. უახლოეს ხანებში საკრებულო დაიწყებს 500-ზე მეტი მუხლისაგან შემდგარი სამოქალაქო კოდექსის განხილვას.

აფხაზეთისა და ყარაბაღის კონფლიქტებთან დაკავშირებით, ბ.არარკციანმა გამოთქვა კმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში საქართველოს ხელმძღვანელობა მზად არის უშუალოდ აწარმოოს მოლაპარაკებები აფხაზურ მხარესთან. მანვე სინანულით აღნიშნა, რომ არ შეუძლია იგივე თქვას ყარაბაღთან დაკავშირებით, რადგან მისი თქმით, აზერბაიჯანის მხარე არ თანხმდება ყარაბაღთან ორმხრივ და პირდაპირ მოლაპარაკებას. მან ხაზგასმით განაცხადა, რომ ყარაბაღის საკითხებში სომხეთი არ წარმოადგენს კონფლიქტში მონაწილე მხარეს, რის გამოც ვერ დაეთანხმება საკითხის გადაჭრის რომელიმე ვარიანტს, რომელიც მიუღებელი იქნება სომხური მოსახლეობისათვის.

თავისი გამოსვლა სომხეთის ეროვნული საკრებულოს თავმჯდომარემ ბ.არარკციანმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „მე ვამაყობ, რომ ჩემს ხალხს ქართველი ხალხის მსგავსი მეგობარი ჰყავს გვერდით". (იფრინდა)

## კოდორის ხეობაში დესტრუქციულ ძალებს პოლიციის ყოფნა არ აწყობთ

როგორც სააგენტო „იფრინდას" კორესპონდენტისათვის აფხაზეთის ა/რ შსს-ს კომპეტენტური წყაროდან გახდა ცნობილი, კოდორის ხეობაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენური მდგომარეობა გრძელდება. ბოლო მკვლელობამ, რომელიც ხეობაში მოხდა, ოპერატიული მდგომარეობის გართულება გამოიწვია. იმავე წყაროს ცნობით, ეს მომენტი გამოიყენეს დესტრუქციულმა ძალებმა, რომელთაც არ აწყობთ ხეობაში პოლიციის ყოფნა და წესრიგის დამყარება. მისივე თქმით, დესტრუქციულ ძალებს შორის არიან თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირები და ყოფილი ბატალიონ „მონადირეს" ზოგიერთი წევრი. სიტუაციის დარეგულირების მიზნით, საქართველოს შსს-ს ხელმძღვანელობა ექსტრემალურ ზომებს მიმართავს.(იფრინდა)

# საქართველოში სულ 4 დოქსოპულო ვცხოვრობთ...

ბატონო რედაქტორო!

გაზეთ „საქართველოს" №12-ში (13-15 თებერვალი), პირველ გვერდზე დაიბეჭდა ფორმით მცირე, მაგრამ შინაარსით საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია „საქართველოს იდეოლოგიის პარტიის" ნატოსადმი დამოკიდებულების შესახებ.

სათაურში, როგორც ჩანს, მეტი ეფექტის მიღწევის მიზნით, კვლავ „მონანიების" გახმაურებული გმირი, დოქსოპულო მოიხმეთ და ზემოხსენებულ პარტიას „დოქსოპულოების პარტია" უწოდეთ.

მართალია, ამ „სტილისტური მიგნების" ავტორი პირადად თქვენ არ ბრძანდებით - იგი „მონანიებით" დაიწყო და ამავე „პათოსით" გაგრძელდა. მაგრამ ამჟამად განსხვავებული ვითარება შეიქმნა. აქ იმ ავადსახსენებელ პიროვნებას მეტი ფუნქციონალური დატვირთვა დააკისრეთ და თქვენს მიერ მონათლული „დოქსოპულოების პარტია" ნატოს გაფართოების იდეას დაუპირისპირეთ.

გთხოვთ, ნუ ჩამთვლით ისეთ პიროვნებად, რომელიც ვერ ჩასწვდა ფილმის ავტორის ჩანაფიქრს და გარკვეულ ნიუანსებს. ვფიქრობ, ეს შემთხვევითი არჩევანი იყო და გარკვეული ფონეტიკური პარამეტრების (მელოდიური კონტური, მახვილი) გამოყენებით რეჟისორმა თავის საწადელს მიაღწია. რამდენადაც თქვენ, ბატონო ნოდარ, წარმოდგენაც არ გქონიათ ამ გვარის რეალურად არსებობის შესახებ, მსურს გირჩიოთ - მომავალში უფრო ფრთხილად მოეკიდოთ უცხოური წარმომავლობის გვარის გამოყენებას მსგავს შემთხვევებში.

ჩვენი გვარი, რომლითაც ჩვენი წინაპრები ამაყობდნენ და ჩვენც, ამჟამად არსებული ოთხი დოქსოპულო (ოთხივე ქალი) მთელი ცხოვრების მანძილზე ვამაყობთ, არ აქციოთ პარტიის, ფრაქციის, ბლოკის, წინასაარჩევნო კამპანიების და მსგავსი პოლიტიკური სტრუქტურების „სიმბოლოდ". ეს გვარი, რომელიც ორი კომპონენტისაგან შედგება, დაახლოებით „დიდების ჩიტად" ითარგმნება ბერძნულიდან და არავითარი ობიექტური აუცილებლობა მისი მსგავსი დატვირთვით გამოყენებისა, არ არსებობს!

შორს ვართ იმ აზრისგან - დაგწამოთ ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრის რაიმე მოტივი, მაგრამ, ახლა, როდესაც პრესა და ტელევიზია სრულიად მოურიდებლად, სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიებს ყველა რანგის პოლიტიკურ მოღვაწეს, დოქსოპულოს ნუღარ ამოაფარებთ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, რომელთა ხსენება პოლიტიკურ დანაშაულს წარმოადგენდა და საამისო გამბედაობასაც ვერავის მოკითხავდი.

მოკრძალებული თხოვნა მექნება თქვენდამი - გამომიქვეყნოთ ეს მცირე მოცულობის რეპლიკა.

პატივისცემით
მაია დოქსოპულო

თსუ ინგლისური ფილოლოგიის კათედრის დოცენტი

**P.S.** ყველა ქართველ ჟურნალისტს ვთხოვ, ქართულ მანკიერებას წმინდა ქართული პროტოტიპით შეებრძოლოთ, მითუმეტეს, ამისი მდიდარი ტრადიციები არსებობს საქართველოში.

*რედაქტორისაგან: ქალბატონო მაია, ვინაიდან გაზეთის მკითხველმა ჩვენი სატელეფონო საუბრის შესახებ, როცა ამ საჩოთირო საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია განვმარტე, არაფერი უწყის, მინდა საჯაროდ გავიმეორო შემდეგი:*

*1) ინფორმაციის სათაურად ამ ფრაზის შერჩევა „დოქსოპულოების" პარტია ნატოს წინააღმდეგ", განაპირობა არა იმ ფაქტმა, რომ მართლა რამდენიმე კაცმა ან ქალმა, გვარად დოქსოპულომ გაილაშქრა „ნატოს" წინააღმდეგ, არამედ პარტიამ, რომელსაც სახელად საქართველოს იდეოლოგიური პარტია ჰქვია, არსით კი მედროვეთა კრებულს წარმოადგენს. „დოქსოპულოები" ამ შემთხვევაში ფიგურალური მნიშვნელობით ვიხმარეთ, შეიძლებოდა სხვაგვარადაც გვეთქვა: „აშორდიების", „კვაჭების" პარტია და ა.შ.*

*ამ პარტიის თავმჯდომარე გახლავთ ბ-ნი ზურაბ გაგნიძე, რომელიც იყო გულმხურვალე ზვიადისტი ზ.გამსახურდიას დროს, იყო გულმხურვალე ჯაბისტი ჯ.იოსელიანის დროს და არის დღეს გულმხურვალე შევარდნაძისტი, ანუ მის „იდეოლოგიას" სავსებით გამოხატავს აღნიშნული სათაური.*

*2) ამ პარტიის იდეოლოგიური წაჯგუფ-უკუჯგუფობანი ვერ მიიქცევდა ჩვენი რედაქციის ყურადღებას (ეს მათი თავმჯდომარისათვის რეკლამა და პატივია), რომ არა ერთი გარემოება - მათ „ნატოს" გენერალურ მდივანს მისწერეს, „ნატოს" ფეხი არ ენახოთ აქეთ გადმოდგმულიო. რა იცის იმ პატიოსანმა კაცმა, სინამდვილეში რა ძალას წარმოადგენენ ეს ჩვენი „იდეოლოგები", ხომ შეიძლება იფიქროს, ქართველები ნატოს გაფართოების წინააღმდეგნი ყოფილანო? ვინ ჰკითხავს ამ არამკითხე „მოამბეებს", ხალხის სახელით რომ „ნატოს" უტატანებენ?*

*ჩვენი ეს აღშფოთება გამოვხატეთ ხსენებული სათაურით.*

*3) ქალბატონო მაია, ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ უცხო გვარის ფიგურალური მნიშვნელობით გამოყენება ჩვენი სინამდვილისათვის უმართებულოა.*

*სადმე იქნებ ცხოვრობენ ჩიჩიკოვები, გობსეკები, მაგრამ მათი გვარის ხსენებისას ძუნწი კაცი წარმოუდგება მკითხველს და არა ამ გვარის მატარებელი პიროვნება ან მისი ეროვნება.*

*ქართულ სინამდვილეშიც, როცა მახარაძეებს, ორჯონიკიძეებს ან ბერბიჭაშვილებს ვახსენებთ, ბუნებრივია, ამ გვარების მატარებელი კონკრეტული პირების გაკილვა არავის მოსდის აზრად...*

*იგივე ითქმის „დოქსოპულოს" ფიგურალური მნიშვნელობით ხმარების დროსაც.*

*მიუხედავად ზემოთქმულისა, სავსებით გვესმის თქვენი გულისტკივილი. თქვენს გვარს არაფერი დაუშავებია.*

*და გახმაურებული ფილმის გამო დაუმსახურებლად მოგადგათ წყენა.*

*ჩვენთვის თქვენგან გახდა ცნობილი, რომ ამ გვარის პიროვნებები ცხოვრობენ საქართველოში, შევეცდებით ამ ფიგურალურ გამოთქმას და ჩვენი გაზეთიდან ამ მხრივ დაზღვეულნი იქნებით.*

## „კონფლიქტების მოგვარების გასაღები მოსკოვში დევს"

გუშინ საზოგადოებრივი ურთიერთობების ცენტრში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა რუსეთში, ვაჟა ლორთქიფანიძემ პრეს-კონფერენცია გამართა. მან ვრცლად მიმოიხილა რუსეთში არსებული ვითარება. მისი თქმით, მსოფლიოს ახალი გადანაწილების პროცესი ჯერ არ დასრულებულა და ასეთ სიტუაციაში ძნელია მოიძებნოს ის ზუსტი მოქმედება, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო მეტად იქნას დაცული საქართველოს ინტერესები. „კონფლიქტების მოგვარების გასაღები ძირითადად მოსკოვში დევს, რადგან იგი არ დაწყებულა რუსეთის გარეშე და არც მისი ძალების გარეშე დასრულდება". მისი თქმით, რა ძალაც არ უნდა მოვიდეს რუსეთის სათავეში, საქართველომ თავისი კურსიდან არ უნდა გადაუხვიოს.

აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, ელჩმა აღნიშნა, რომ ამ საკითხში, რუსეთს, როგორც შუამავალს, განსაკუთრებული როლი და ადგილი აქვს. მისივე თქმით, ქართული მხარის პოზიცია რამოდენიმე კომპონენტისაგან შედგება. ესენია: ქვეყნის შიგნით სამხედრო პოტენციალის გაძლიერება, რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება, მსოფლიოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აზრთან მუშაობა და მოლაპარაკებების პროცესი. „მე არ მინდა დავიჯერო, რომ გამოსავალი არ იქნება, რადგან ყველა მოლაპარაკება და მასში საერთაშორისო ინსტიტუტების გააქტიურება გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს არძინბას წარმომადგენლებზე", - განაცხადა ელჩმა.

რაც შეეხება ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებს, საქართველოს ელჩს მიაჩნია, რომ თუ სასწრაფოდ არ მოიძებნა კრიზისიდან გამოსვლის გზები, რუსეთში დეზინტეგრაციის დაწყების რეალური საფრთხე შეიქმნება, რაც ამ ეტაპზე საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს. (იფრინდა)

ჩეჩნეთის არჩევნები ქართველ დამკვირვებელთა თვალით

# მათ ზვიადის საფლავი ცარიელი დახვდათ...

*ინტერვიუ ქართველ პატრიოტთა ლიგის თავმჯდომარესთან გიგა ზაალიშვილთან*

— აფხაზეთის დელეგაცია ხომ არ გინახავთ?

— იყვნენ იქ... მაგრამ ჩვენ გვერიდებოდნენ და ადიღეელებს აგზავნიდნენ ამბების გასაგებად. ჩვენ მათ გავუცვალეთ მისამართები და დავთქვით შეხვედრები თბილისშიც და ადიღეიაშიც, სადაც ვაპირებთ აფხაზეთის შესახებ ვისაუბროთ. ბასაევის შტაბში შეგვხვდა ერთი ყოვლად უცნაური წარმონაქმნი: სომეხი ეროვნების აფხაზი მოქალაქე, რომელიც ხმას არ იღებდა და როცა ჩვენ სხვებთან სიტუაცია გავარკვიეთ და მეგობრული ლაპარაკი დავიწყეთ, მთლად გაშავდა და შემდეგ სადღაც გაქრა. სომხების და ოსების მიმართ არცთუ კარგი განწყობა აქვთ ჩეჩნებს.ამბობენ, რომ ისინი კავკასიაში იმპერიის პლაცდარმს წარმოადგენენ. ჩვეულებრივი მე-5 კოლონა არიან. ოსების შეიარაღებული ნაწილები იბრძოდნენ რუსების მხარეზე; სპეცდანიშნულების ბატალიონი „სკორპიონი" მთლიანად ოსებით იყო დაკომპლექტებული და იგი ჩეჩნებმა გროზნოს შტურმის დროს გაანადგურეს.

— მომავალში ხომ არაა მოსალოდნელი ჩეჩენ-ოსური კონფლიქტი?

— პირდაპირ გეტყვით და ყველაც გრძნობს, რომ კავკასიაში არის კონფლიქტების განახლების და გაჩაღების საშიშროება. საერთაშორისო ორგანიზაციები, ეუთო და სხვები კონფლიქტის გაჩაღების შემდეგ რომ იწყებენ მის ჩაქრობას და დარეგულირებაზე ზრუნვას, ჯობია, სანამ გაჩაღდება, მანამდე მიხედონ. ჩვენს კონფლიქტებზე არაფერს ვამბობ, თუ ასე გაგრძელდა და რეალურად არაფერი არ გაკეთდა, იგი ისევ იფეთქებს და ლტოლვილებთან ერთად მთელი საქართველოს მოსახლეობა იძულებული იქნება წართმეული ტერიტორიები დაიბრუნოს. ახლა სრულიად რეალურია გაჩაღდეს აზერბაიჯანულ-ლეკური კონფლიქტი, ასევე ჩეჩნურ-ინგუშური ოსებთან.

— აუშევი ამაზე წავა?

— სხვათაშორის, მიმდინარეობს მისი პოზიციების გამკაცრება რუსეთის მიმართ. იგი ამბობს, რომ თუ არ დაბრუნდება ოსების მიერ მიტაცებული ტერიტორიები, შეიძლება ინგუშეთმაც გადახედოს თავის პოზიციას დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენების გზაზე. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩეჩნები და ინგუშები ერთი ხალხია, ვაინახები. აუშევს და მასხადოვს შორის კარგი დამოკიდებულებაა.რუსებსა და ჩეჩნებს შორის აუშევი იყო ყოველთვის შუამავალი და ძალიან კარგად იცავდა და იცავს ჩეჩნეთის ინტერესებს რუსეთის სახელისუფლო სტრუქტურებში. ამიტომ ერთიანი ვაინახური სახელმწიფოს შექმნა შეიძლება არცთუ შორეული მომავლის საქმე იყოს.

— შეიძლება ჩეჩნეთში შიგა კონფლიქტი მოხდეს პოლიტიკურ ძალებს შორის?

— ჩეჩნები პრაგმატიკოსები არიან. რუსეთის მხრიდან მრავალგზის იყო მცდელობა ლიდერებს შორის შუღლი გაეღვივებინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. არჩევნების წინ იყო მოლაპარაკება, რომ გამარჯვებულს ყველა დანარჩენი დაემორჩილებოდა. ასეც მოხდა. შამილ ბასაევი პირადად მივიდა ასლან მასხადოვთან და მიულოცა გამარჯვება. ინაუგურაციის დროს კი იანდარბიევმა საზეიმოდ გადასცა ახალ პრეზიდენტს უფლებამოსილება.

— სხვები?

— საშიში განწყობილებები არაა. ერთადერთი საინტერესო მოვლენაა სალმან რადუევი, რომელიც აცხადებს, რომ ჯოხარ დუდაევის სისხლის ასაღებად გადაწვავს დედაბუდიანად 3 რუსულ ქალაქს. მას 1000 კარგად შეიარაღებული მებრძოლი ჰყავს. მისი ასეთი განცხადება სულაც არაა გასაკვირი იმის შემდეგ, რაც რუსებმა ჩეჩნეთში ჩაიდინეს. როგორც ჩეჩნეთში ამბობენ, რადუევის ეს განცხადება წინასწარ საპასუხო რეაქციაა რუსეთის მოსალოდნელი აგრესიის თავიდან ასაცილებლად, რადგან როგორც კი ჩეჩნეთი ისევ დაადასტურებს თავის დამოუკიდებლობას, იმ წუთში რუსეთიდან დაიწყება ეკონომიკური ბლოკადა, ტერაქტები და ათასი მსგავსი უკანონობა.

— რადუევი ამბობს, რომ ჯოხარ დუდაევი მოკლეს?

— ჩვენ ჩეჩნეთში ეს ლაპარაკებიც გვესმოდა, ცოცხალიაო, ზვიადიც მასთანააო და ასე შემდეგ. მაგრამ მე აქ ნორმალურად მოაზროვნე ხალხზე მაქვს საუბარი. საინტერესოა, რომ გარდაცვლილი პრეზიდენტების უკვდავების ფაქტორი იქაც ტრიალებს გარკვეულ წრეებში. ესეც ჩვენი ნათესაური ფსიქიკის მიმანიშნებელია.

— ზვიად გამსახურდიას საფლავი თუ ნახეთ?

— მისი სახლი აღარ არსებობს. საფლავიც ცუდ დღეშია, მაგრამ დასუფთავებულია. საფლავის ქვაა ჭურვებისაგან დაზიანებული. ჩვენ ვიყავით იქ და პატივი მივაგეთ საქართველოს პირველ პრეზიდენტს. ჩვენი მეგობარი ჩეჩნები მოგვიყვნენ, რომ

გაგრძელება მე-6 გვ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო" №14, 15

# ჩაწერა გაუქმებულია რეგისტრაცია მოხდება ქალაქში უპრობლემოდ...

საზოგადოებას ახსოვს სახლმმართველობის მუშაკთა აქცია პარლამენტის შენობის წინ, რომელნიც ჩაწერის ინსტიტუტის დატოვებას ითხოვდნენ ანუ ითხოვდნენ შემოსავლის წყაროს არდაკარგვას...

პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ვიტალი ხაზარაძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განმარტა:

კონსტიტუციის მიღების შემდეგ შეიქმნა ორჭოფული მდგომარეობა. ერთის მხრივ, კონსტიტუცია აძლევდა მოქალაქეს უფლებას შეერჩია საცხოვრებელი ადგილი შეხედულებისამებრ, მეორეს მხრივ, ჩაწერის არსებული სისტემა შეუძლებელს ხდიდა ამას. კანონმა რეგისტრაციის შესახებ მოქალაქეთა უფლებები შესაბამისობაში მოიყვანა კონსტიტუციასთან.

მან აღნიშნა: თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩაწერის მექანიზმი აფერხებდა თბილისის ზრდის ტენდენციას, ცდება. ვისაც ფული ჰქონდა, მაინც ეწერებოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა უკვე გამოსცა ორი ბრძანება ახალი კანონის ფუნქციონირების წესის შესახებ, ამ წესების მიხედვით მაქსიმალურად გამოირიცხება კორუფციის საშუალება.

მოქალაქეს აღარ დასჭირდება ძველებურად წამების გზის გავლა. იგი მივა საპასპორტო სამსახურში, წარადგენს განცხადებას, პირადობის მოწმობას და თანხმობას იმ პირისა, ვინც ფლობს ქალაქში ბინას, რის შემდეგაც მას ძველი რეგისტრაციის ადგილიდან მოხსნიან (სამხედრო აღრიცხვის ჩათვლით) და ახალ ადგილზე რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ყველა მოვალეობას თავის თავზე იღებს საპასპორტო განყოფილება.

დადგენილია სასჯელი როგორც იმ პირის მიმართ, ვინც არ გაიარა დადგენილ პერიოდში რეგისტრაცია, ისე იმ მოხელეთათვის, რომელნიც შესაბამისად დადგენილ პერიოდში არ განახორციელებენ მოქალაქის რეგისტრაციას.

ასეთი კანონები ბიუროკრატიულ აპარატს ნელ-ნელა გამოაცლის საფუძველს.

აქვე გთავაზობთ კანონის სრულ ტექსტს.

## საქართველოს კანონი

## საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ

### თავი 1.
### ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანისა და მოქალაქის უფლებების შესახებ საერთაშორისო აქტების შესაბამისად ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, გარანტირებული აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო — უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

### თავი II
### რეგისტრაცია და რეგისტრაციის მოხსნა

მუხლი 2.

1. საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა შესახებ მონაცემების დადგენის, აგრეთვე მოქალაქეთა უფლებების და მოვალეობების განხორციელების მიზნით დაწესებულია საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაცია.

2. საქართველოში მცხოვრებ უცხოელად ამ კანონის თანახმად ჩაითვლება საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი.

3. რეგისტრაცია ან რეგისტრაციის არქონა არ შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვის, მათ შორის საკუთრების განკარგვის უფლების შეზღუდვის საფუძველი ან მათი განხორციელების პირობა, გარდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 3.

1. საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრები უცხოელი ვალდებულნი არიან გაიარონ რეგისტრაცია თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მათ გააჩნიათ რამდენიმე საცხოვრებელი — ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

2. პირის საცხოვრებელ ადგილად ამ კანონის თანახმად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი საცხოვრებლად ირჩევს.

3. 16 წლამდე ასაკის პირები, აგრეთვე მეურვეობის და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირები რეგისტრაციას გაივლიან მშობლებთან, მეურვესთან, მზრუნველთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. მათი დამოუკიდებლად რეგისტრაციაში გატარება დასაშვებია მხოლოდ ზემოთ ხსენებულ პირთა წერილობითი თანხმობით.

მუხლი 4.

1. საცხოვრებელი ადგილის სამ თვეზე მეტი ვადით შეცვლისას პირი ვალდებულია ათ დღეში, ამ კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნების დაცვით, აცნობოს ამის შესახებ ახალ საცხოვრებელ ადგილას შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, რომელიც ხუთ დღეში გაატარებს მას რეგისტრაციაში და მისცემს რეგისტრაციის მოწმობას.

2. რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია პირის რეგისტრაციაში გატარებიდან სამ დღეში აცნობოს ამის შესახებ ორგანოს, სადაც პირი იყო რეგისტრირებული. მან უნდა მოხსნას პირი რეგისტრაციიდან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან ერთი დღის ვადაში.

3. წინასწარი პატიმრობის, სასჯელის მოხდის ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო სამ თვეზე მეტი ვადით საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას პირი ვალდებული არ არის გაიაროს რეგისტრაცია. ამ შემთხვევაში შესაბამისი ორგანო ვალდებულია პირის ადგილსამყოფელი აცნობოს ორგანოს, სადაც პირი არის რეგისტრირებული.

4. რეგისტრაციის მოწმობის რეკვიზიტებია:

ა) სახელი;

ბ) გვარი

გ) მისამართი;

დ) რეგისტრაციის თარიღი;

ე) რეგისტრაციის ორგანოს დასახელება;

ვ) შესაბამისი თანამდებობის პირის ხელმოწერა;

ზ) რეგისტრაციის შტამპი და ბეჭედი.

რეგისტრაციის მოწმობა ძალაშია პირადობის (ბინადრობის) მოწმობასთან ერთად.

მუხლი 5.

1. რეგისტრაციისათვის პირი ვალდებულია წარადგინოს განცხადება, პირადობის (ბინადრობის) მოწმობა და საცხოვრისის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობა, რაც ნიშნავს საცხოვრისის მესაკუთრის ან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საცხოვრისის დამქირავებლის წერილობით თანხმობას შესაბამისად საკუთრების ქირავნობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის ან სანოტარო წესით დამოწმების გარეშე.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს პირის სახელი, გვარი, ახალი საცხოვრებელი ადგილის მისამართი და განცხადების წარდგენის თარიღი.

2. პირი, რომელსაც არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, მისამართის მითითების გარეშე რეგისტრაციას გაივლის იმ დასახელებული პუნქტის მიხედვით, სადაც იმყოფება.

პირი, რომელიც რეგისტრაციაში გატარებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია სამ თვეში ერთხელ გამოცხადდეს შინაგან საქმეთა იმ ორგანოში, სადაც იგი რეგისტრირებულია.

მუხლი 6.

დაუშვებელია იმ პირისათვის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა, რომელიც წარადგენს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტებს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 7.

1. საქართველოში მცხოვრებ პირთა რეგისტრაციას და რეგისტრაციიდან მოხსნას ახორციელებენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

2. საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაციას აწარმოებენ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი ან საკონსულო დაწესებულებანი.

მუხლი 8.

რეგისტრაციისას ყოველ პირზე ივსება სარეგისტრაციო ბარათი, რომელშიც აღინიშნება პირის სახელი, გვარი, სქესი, მისამართი (თუ პირი მიუთითებს მისამართს), დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი, მოქალაქეობა და წინა საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი და შევსების თარიღი.

მუხლი 9. რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია პირის რეგისტრაციაში გატარებიდან ან მოხსნიდან ათი დღის განმავლობაში აცნობოს შესაბამის სამხედრო კომისარიატს რეგისტრაციაში გატარების თარიღი და ახალი საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო რეგისტრაციიდან მოხსნისას — რეგისტრაციიდან მოხსნის თარიღი.

მუხლი 10.

გარდაცვლილი ექვემდებარება რეგისტრაციიდან მოხსნას გარდაცვალების მოწმობის წარდგენის ან მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებიდან წერილობითი ინფორმაციის მიღებისას.

მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანო ვალდებულია გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციიდან ხუთი დღის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოს.

### თავი III.
### საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დადასტურების წესი

მუხლი 11.

საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა პირადობის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტებია:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა;

ბ) ბინადრობის მოწმობა.

მუხლი 12.

1. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას და მის ვინაობას.

2. ბინადრობის მოწმობა ადასტურებს საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა ვინაობას.

მუხლი 13.

1. საქართველოში მცხოვრებ პირთა პირადობის (ბინადრობის) მოწმობის შევსებას, გაცემას და შეცვლას ახორციელებს შინაგან საქმეთა ორგანო.

სხვა სახელმწიფოში მცხოვრები საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის შევსებას, გაცემას და შეცვლას ახორციელებს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება.

2. რეგისტრაციის ორგანო პირადობის (ბინადრობის) მოწმობას გასცემს შესაბამისი დოკუმენტების წარდგენიდან ათი დღის განმავლობაში.

პირადობის (ბინადრობის) მოწმობის გაცემა შეჩერდება წარდგენილ დოკუმენტებში ყალბი ან არაზუსტი მონაცემების აღმოჩენისას.

მუხლი 14.

1. საქართველოს მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობა ორგვერდიანია, იბეჭდება და ივსება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას აძლევენ 16 წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეს.

3. პირადობის მოწმობის რეკვიზიტებია:

ა) სახელი;

ბ) გვარი;

გ) დაბადების წელი, რიცხვი, თვე;

დ) დაბადების ადგილი;

ე) პირადი ნომერი;

ვ) ფოტოსურათი, რომელსაც უნდა დაესვას შესაბამისი შინაგან საქმეთა განყოფილების, დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების ბეჭედი;

ზ) პირადი ხელმოწერა;

თ) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება;

ი) შესაბამისი შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის, დიპლომატიური ან საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერა;

კ) რელიეფური ბეჭედი;

ლ) მოწმობის გაცემის თარიღი;

მ) მოწმობის მოქმედების ვადა.

მუხლი 15.

ბინადრობის მოწმობის რეკვიზიტებია:

ა) სახელი;

ბ) გვარი;

გ) დაბადების წელი, რიცხვი, თვე;

დ) დაბადების ადგილი;

ე) პირადი ნომერი;

ვ) ფოტოსურათი, რომელსაც უნდა დაესვას შესაბამისი შინაგან საქმეთა განყოფილების ბეჭედი;

ზ) პირადი ხელმოწერა;

თ) მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება;

ი) შესაბამისი შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ხელმოწერა;

კ) რელიეფური ბეჭედი;

ლ) მოწმობის გაცემის თარიღი;

მ) მოქალაქეობა;

მოწმობის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 წლით.

მუხლი 16.

პირადობის მოწმობის მისაღებად ან შესაცვლელად პირი ვალდებულია წარადგინოს დაბადების მოწმობა, ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, ფოტოსურათი, ხოლო თუ წარდგენილი დოკუმენტი არ ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, — აგრეთვე საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი ან საქართველოს ტერიტორიაზე კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში ცხოვრების ფაქტის დამადასტურებელი საბუთი.

მუხლი 17.

ბინადრობის მოწმობის მისაღებად პირი ვალდებულია წარადგინოს შესაბამისად უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქეობის ან მოქალაქეობის არქონის დამადასტურებელი საბუთი, ფოტოსურათი და საქართველოში კანონიერად ცხოვრების დამადასტურებელი საბუთი.

მუხლი 18.

1. საქართველოს მოქალაქე ვალდებულია შეცვალოს პირადობის მოწმობა 25 და 45 წლის ასაკის მიღწევისას, ხოლო საქართველოში მცხოვრები უცხოელი — მოწმობაში მითითებული ვადის გასვლისას.

2. საქართველოს მოქალაქის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის შეცვლა ხდება აგრეთვე შემდეგ შემთხვევებში:

ა) სახელის ან გვარის შეცვლისას;

ბ) ჩანაწერში უზუსტობის დადგენისას;

გ) ხმარებისათვის უვარგისობის ან დაკარგვისას.

მუხლი 19.

1. პირი, რომელსაც საქართველოს მოქალაქეობა შეუწყდა, ვალდებულია ჩააბაროს პირადობის მოწმობა შინაგან საქმეთა შესაბამის ორგანოს.

2. უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც აღარ ცხოვრობს საქართველოში, ვალდებულია ჩააბაროს ბინადრობის მოწმობა შინაგან საქმეთა შესაბამის ორგანოს.

3. გარდაცვლილი პირის, აგრეთვე ნაპოვნი პირადობის (ბინადრობის) მოწმობა უნდა ჩაბარდეს შინაგან საქმეთა შესაბამის ორგანოს.

მუხლი 20.

1. აკრძალულია პირადობის (ბინადრობის) მოწმობის ჩამორთმევა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აგრეთვე მოწმობის დატოვება გირაოდ.

2. რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურებისათვის საჭირო შტამპებისა და ბლანკების ფორმასა და ზომას ადგენს და ამტკიცებს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

### თავი IV
### დასკვნითი დებულებანი

მუხლი 21.

რეგისტრაციაში გატარებისას და პირადობის (ბინადრობის) მოწმობის აღებისას პირი არ იხდის სახელმწიფო ბაჟს კანონის შესაბამისად.

მუხლი 22.

1. ამ კანონების მოთხოვნების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. რეგისტრაციის არქონისათვის არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს პირს, რომელიც აცნობებს რეგისტრაციისათვის პასუხისმგებელ ორგანოს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ და შეასრულებს ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე

თბილისი,
1996 წლის 27 ივნისი.
№323-II ს

# XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# მიხეილ ჯავახიშვილი

## ცხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ გრიგალაშვილი

იმხანად, 20-იან წლებში, მწერლებს ჯერ კიდევ ჰქონდათ საშუალება შეექმნათ ლიტერატურული დაჯგუფებანი, კორპორაციები და გამოეცათ საკუთარი ჟურნალ-გაზეთები. ერთი ასეთი დაჯგუფებათაგანი იყო 1927 წელს რამდენიმე მწერლის მიერ შექმნილი საძმო „არიფიონის" სახელწოდებით. ასოციაციის თავმჯდომარე მიხეილ ჯავახიშვილი გახლდათ. ასოციაციის წევრებმა 1928 წელს გამოსცეს ჟურნალი „არიფიონი" (რედაქტორი გერონტი ქიქოძე). ამ ჯგუფის პოზიცია გამოხატულია გერონტი ქიქოძის წერილში „არიფიონი ჰერეთში". „ჩვენ არ გვინდა კარის მგოსნების როლი ვითამაშოთ და მწერლობა ვიწრო პოლიტიკის იარაღათ ვაქციოთ. ამ მხრით დიდად განვსხვავდებით იმ გულმოდგინე პოეტებიდან, რომელნიც ერთმანეთს ეჯიბრებიან შაბლონურ ოდების წერაში.ისინი თანადროულობას იჩემებენ და ჰგონიათ თანადროულობა იმაში მდგომარეობს, რომ გაუხედნელი კვიცივით მისდიო და უჭიხვინო რევოლუციის ეტლს".

ჯავახიშვილს „არიფიონის" კრიტიკოსთა შესახებ უბის წიგნაკში ჩაუწერია: „ბევრ ქართველ მწერალს მოსდის მოსკოვიდან ბრძანება, თუ როგორ უნდა სწეროს მან ფორმითაც და იდეოლოგიურადაც. არიფიონი კი მაგრად სდგას ქართულ მიწაზე და მისი აზროვნებაც ამ მიწიდან ამოდის. სხვა რომ არა იყოს რა, ესეც საკმარისია ჩვენი გამარჯვებისათვის". მოვლენები კი სხვაგვარად განვითარდა.

„არიფიონის" არსებობა დღემოკლე აღმოჩნდა. 1928 წლის მარტში ჩატარდა საქართველოს მწერალთა მე-2 ყრილობა, რომელზეც მოხსენება გააკეთა ფილიპე მახარაძემ. ამ ყრილობაზე დაგმობილ იქნა „არიფიონის" საქმიანობა და ეს ჯგუფი მალე დაიშალა კიდეც.

ოპონენტების თავდასხმებისაგან დაღლილი ჯავახიშვილი, დროდადრო მეგობრების წრეში იოხებდა გულს. ერთ-ერთი პურობის ჟამს პაოლო იაშვილს მიხეილისთვის სალაღობო ექსპრომტი დაუწერია. მიხეილი სუფრიდან წასვლას ჩქარობდა, რადგან შინ ფეხმძიმე მეუღლე ელოდა, მეგობრებს იგი ძალით დაუტოვებიათ სუფრაზე. სამაგიეროდ ასეთი „ცნობა" გამოუტანებიათ.

მოწმობა

ეძლევა ესე მოწმობის ცალი
„ჯაყოს ხიზნების" და „კვაჭის" ავტორს,
რომ ის დავტოვეთ ვახშამამდე ძალით
და ტიციანი მას ძალით ათრობს.
რომ დავამშვიდოთ იმისი ცოლი,
რომელიც ქმარს და ვაჟიშვილს ელის
(ალბათ იქნება არსენას ტოლი
და ნიჭით მსგავსი ანდრეი ბელის)

1929 წლის ივლისის 5-ს.

ანდრეი ბელი იმ სუფრის თანამეინახე ყოფილა და ამ ექსპრომტშიც აქედან აღმოჩნდა მისი სახელი და გვარი. ორი თვის შემდეგ მიხეილს და ლუბას მართლაც შეეძინათ მეორე შვილი. მაგრამ არა ვაჟი, ამჯერადაც ქალიშვილი დაიბადა – რუსუდანი.

1932 წლის თებერვალში გაიმართა ქართველ მწერალთა პლენუმი. ამ პლენუმზე დიდი რისხვა დაატყდა თავს მიხეილს, როგორც ძნელად „გარდასაქმნელ" მწერალს. გაგაცნობთ ერთ მონაკვეთს ბ.ჟღენტის გამოსვლიდან:

„თუ მიხეილ ჯავახიშვილს თავისი მუშაობის პირველ პერიოდში განვიცდით როგორც გარკვეული რევოლუციონური თანამგზავრი ტენდენციის მატარებელ მწერალს და ვფიქრობდით, რომ მისი განვითარების დიალექტიკა მოგვცემდა საბჭოთა ლიტერატურის ერთ მაგალითს, მისმა შემდგომმა განვითარებამ მოგვცა საწინააღმდეგო. ეს დამახასიათებელია მისთვის. მიხეილ ჯავახიშვილი თავის განვითარებაში ისე, როგორც გამსახურდია, ისე როგორც შანშიაშვილი, ინგოროყვა და მთელი რიგი მწერლები „აკადემიური ჯგუფიდან", „არიფიონიდან", მოექცნენ მოწინააღმდეგე კლასის პოზიციებზე. მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ეს მწერლები სამუდამოდ დაკარგულნი არიან საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის. ყველა მათ აქვთ საშუალება გადამუშავდნენ რევოლუციის მხარეზე".

ორი თვის შემდეგ, აპრილში, მიხეილი კვლავ „დაამუშავეს": „ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ჯავახიშვილის შემოქმედებას რაღაც განსაკუთრებული მხატვრული ღირსება ახასიათებს. ეს არ არის მართალი. ჯავახიშვილი ცდილობს, მკითხველის ყურადღება მიიპყროს იაფფასიანი ხერხებით, სენსაციებით, შემთხვევითი სიუჟეტებით, ჯავახიშვილის შემოქმედება არის „ბულვარშჩინა". (გ.ნატროშვილი).

ამ სხდომაზე კვლავ კრიტიკულად გამოვიდა ბესო ჟღენტიც. მაგრამ დ.ბენაშვილმა კრიტიკოსს პირიქით, ლმობიერება უსაყვედურა. „ის (იგულისხმება ბ.ჟღენტი) მას აფასებს არა როგორც რეაქციონურ მწერალს, არამედ ისეთს, რომელსაც აქვს ცალკეული შეცდომები".

ფრიდონ ნარიუშვილს კი უთქვამს: „ჟღენტმა წამოაყენა მიხეილ ჯავახიშვილის გარდაქმნის, მისი საბჭოთა მწერლობაში შეზრდის თეორია. ჯავახიშვილი რეაქციონერი მწერალია, ამიტომ არ შეიძლება დაისვას საკითხი მის გარდაქმნის შესახებ"...

ასე, თანდათანობით, იძაბებოდა სიტუაცია და ხელოვნურად აჩქარებდნენ იმ დღის მოახლოებას, როცა მწერლის სიცოცხლე უნდა დასრულებულიყო, თუმცა ცნობილი მოღვაწეებისადმი ოფიციოზის დამოკიდებულებაც მკვეთრად ცვალებადი იყო. იმ დროისათვის აღზევებულსა და ბედის ნებიერს, უეცრად საპყრობილეში უკრავდნენ თავს, ეშაფოტისთვის გამზადებულს კი ზოგჯერ უცებ პატივს მიაგებდნენ. ყველაფერი მმართველთა გუნება-განწყობილებაზე იყო დამოკიდებული. ცოტა ხნით ჯავახიშვილისადმი მიმართებაც შეიცვალა. 1934 წელს იგი მწერალთა საკავშირო ყრილობის დელეგატია. მოსკოვში ყრილობის პრეზიდიუმშიც აირჩიეს, ფულადი ჯილდოც მისცეს. კრემლში პატივით შეხვდნენ. 1935 წელს მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს ცაკის წევრად იქნა არჩეული, დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით. ყოველივე ამან მიხეილ ჯავახიშვილს იმედი ჩაუსახა, რომ მკაცრ და ვერაგ დროს გადაურჩებოდა, მაგრამ არსთა გამრიგეს სხვაგვარად ჰქონდა მისი ბედი გადაწყვეტილი...

1935 წელს ცაკის წევრად კი აირჩიეს მწერალი, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ დაიწყო მის წინააღმდეგ ლაშქრობა. 1936 წელს მიხეილის მშობლიურ სოფელ სიონში, სადაც მისი ძმა ფიდო ცხოვრობდა, „აქტივისტებმა" დაანგრიეს ჯავახიშვილთა საგვარეულო აკლდამა და მასალა მიითვისეს. შეურაცხყვეს საფლავი, სადაც დაკრძალული იყო მიხეილს დედ-მამა და და.

1937 წელს დააპატიმრეს მწერლის ძმა ფიდო. მიხეილს დიდი დღე აღარ ჰქონდა. ახლა ჯერი მასზედ იყო მიმდგარი.

1937 წელს ივნისში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ყრილობა. ყრილობაზე, თავის სიტყვაში, ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლავრენტი ბერიამ ჯავახიშვილიც ავად მოიხსენია. ამით გამოჩნდა, რომ მიხეილის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ბერია გაბოროტებული იყო ჯავახიშვილზე, რადგან მან რამდენიმე მოღვაწესთან ერთად პროტესტი განუცხადა პირველ მდივანს იმის გამო, რომ იგი მეტეხის პლატოზე ძველთაძველი ტაძრის დანგრევას აპირებდა. ტაძარი გადარჩა, თამამი ნაბიჯი კი მწერალს არ აპატიეს. გაუხსენეს პარტიეტულ კომიტეტში მოღვაწეობა, გაუხსენეს „დამპატიჟე" და „ჯაყოს ხიზნები", გაუხსენეს ახლობელთა წრეში ნათქვამი ყოველი პოლიტიკურად „მოუზომავი" სიტყვა. აღარ უშველა მწერალს საჯარო განცხადებამ, რომლითაც წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა: „რაც დრო გადის, ჩემი კრიტიკული თვალიც თანდათან იხუჭება, ვინაიდან ჩემი ცხოვრება დღითიდღე უმჯობესდება... მე მტკიცე იმედი მაქვს, რომ ჩემს თავს ადვილად დავძლევ და იმ მეშჩანურ ჭუჭყსაც ჩამოვიშორებ, რომელიც აქამდე შემრჩა".

რა „მეშჩანურ ჭუჭყზეა" ლაპარაკი, რა ჰქონდა მოსანანიებელი ამ წამებულ კაცს? გავეცნოთ იმ ანდერძს, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილმა თავის ქალიშვილს ჩაუწერა ალბომში და რომელსაც ჩვენი დროის ათი მცნება უწოდა:

1) შენ ხარ მარადიული, განუყრელი და ერთგული წევრი და მსახური შენი მშობელი საქართველოსი.

2) შენი სამშობლოს მტერი შენი პირადი მტერია, ხოლო მისი მეგობარი, – შენი პირადი მეგობარია.

3) ყველაფერი რაც გაქვს და გექნება, შენი სიცოცხლეც კი, შენს მამულს ეკუთვნის. შენ ხარ მისი მუდმივი მოვალე და განუყრელი შვილი.

4) მიეცი მას წრფელი გულით ყოველივე და ისიც მოგცემს ყოველივეს.

5) მაინც მუდმივ მხოლოდ შენი თავის იმედი იქონიე. ისე იცხოვრე, ვითომ ამ ქვეყნად არც მოვალე გყოლია და არც მშველელი.

6) განაგე თავი შენი და დაუმორჩილე გონებას შენი ჟინი, კერპი გული და ურჩი სურვილები.

7) გზის გაკვლევა და გამარჯვება შეიძლება მხოლოდ შრომით და პატიოსნებით, ზარმაცობა, ცუღლუტობა, სიცრუე და სიყალბე ადამიანს ადრე თუ გვიან უეჭველად დაპღუპავენ.

8) სანამ საკუთარ ფეხზე არ დამდგარხარ, მშობლებს ყველაფერი დაუჯერე. იმათ შენთვის მხოლოდ სიკეთე უნდათ. ჯერჯერობით საკუთარ ჭკუას, ჟინს და გულის ზრახვას ნუ აჰყვები

9) თავმოყვარეობა შეიძინე და თავის თავის ფასი ისწავლე, მაგრამ ნუ გადააჭარბებ. არ გაამაყდე.

10) ბოლოს და ბოლოს ყოველივეს სჯობია სამი რამ: პირველი – შრომა, მეორე შრომა და მესამე – ისევ შრომა.

ეს „ათი მცნება" მთელი მომავალი თაობების ანდერძადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ამ ზნეობრივი პრინციპებით იცხოვრა თვითონაც მიხეილ ჯავახიშვილმა, ამ ზნეობით მცხოვრები კაცი კი უზნეო საზოგადოებისათვის უცხო სხეულად აღიქმება და ისიც, როგორც „უცხო", ქვეყანას მოაშორეს. ამიტომაც არის საჭირო ზრუნვა მთელს საზოგადოებაზე და არა მხოლოდ საკუთარი სულის ხსნაზე...

1937 წლის 14 აგვისტოს ჯავახიშვილი მესამედ და უკვე უკანასკნელად დააპატიმრეს.

ახლა კი კვლავ პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ და იმ დოკუმენტს გავეცნოთ, რაც 17 აგვისტოს „სასამართლო პროცესზე", ანუ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე იქნა წაკითხული:

„მიხეილ ჯავახიშვილი ქართველი ხალხის მოღალატეთა ბანდის, ჯაშუშებისა და დივერსანტების ხროვის აქტიური მონაწილე აღმოჩნდა. ეს ურყევი ფაქტებით იქნა დადასტურებული. მიხ.ჯავახიშვილის მთელი მოქალაქეობრივი, სამწერლო ბიოგრაფია მკაფიოდ ახასიათებს მას, როგორ მუხანათურად შენიღბულ და უაღრესი თვალთმაქცობით შეიარაღებულ კლასობრივ მტერს".

გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ჯავახიშვილი „იცავდა ფაშისტურ სისხლის თეორიას, წინააღმდეგი იყო საბჭოთა მეურნეობებისა და დიდი ფაბრიკა-ქარხნების ორგანიზაციისა. კულუარებში იმეორებდა ანდრე ჟიდის ცილისწამებას საბჭოთა ხალხზე"...

„ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი, გარიცხულ უნდა იქნეს მწერალთა კავშირის რიგებიდან და აღგვილი დედამიწის ზურგიდან.

დაადგინეს: მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი გარიცხულ იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურებული".

არავინ იცის, როცა ეს დადგენილება გამოჰქონდათ, იმ წუთებში მიხეილ ჯავახიშვილს სუკის ჯურღმულებში ჯერ კიდევ აწამებდნენ თუ უკვე მოკლული ჰყავდათ...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №13,14,15

შემდეგ ნომრებში დაიბეჭდება პროგრამაში ახლად შეტანილი მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა" განხილვა.

# ლებედის შესაკავებლად ელცინი რომანოვების დინასტიის აღდგენას აპირებს



რუსეთის მომავალი მეფე

მოსკოვში ჯიუტი ხმები დაირხა: 15 წლის დიდი თავადი გიორგი რომანოვი, დედასა და დიდედასთან ერთად, სადაც არის რუსეთში დაბრუნდება. იმასაც ამბობენ, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მოამზადა დეკრეტი, რომელიც ოფიციალურ სტატუსს შესძენს ტახტის პრეტენდენტის ოჯახს. „ცარევიჩს" აგარაკსაც უმზადებენ მოსკოვიდან თხუთმეტიოდე კილომეტრზე და კრემლის დაცვის ერთ-ერთი ოფიცერი, იმავე საპრეზიდენტო დეკრეტის ძალით, უფლისწულის აღმზრდელად დაინიშნა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომანოვების ოჯახის ერთი ნაწილის დაბრუნების თემა – სწორედ იმ ნაწილისა, რომელმაც, მონარქისტების აზრით, დაკარგა საგვარეულო უფლებები განქორწინებებთან დაკავშირებით, – როგორც ძველი მისამღერი, ისე მეორდება რუსული პრესის ფურცლებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახელმწიფოს ძალიან უჭირს. როდესაც სიტყვა რომანოვების დაბრუნებაზე ჩამოვარდებ, სერგეი იასტრჟემბსკი, პრეზიდენტის პრეს-ატაშე, მხრებს იჩეჩავს: „ყოველივე ეს სასაცილო იქნებოდა, ესოდენ მოსაწყენი რომ არ იყოს".

მაგრამ მოსკოვში ყველა ასე ზერელედ არ უყურებს სამეფო ოჯახის სამშობლოში დაფუძნებას. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ძმამ, იგორ ჩუბაისმა განაცხადა, რომ „იმპერატორი, თუკი იგი ოდესმე გამოჩნდება რუსეთში, იქნება სულიერი ხატი ქვეყნისა, თვით სიმბოლო რუსეთის იდეისა". აი, უკვე ხუთი წელია დიდი რუსეთი „საკუთარი პიროვნულობის" ძიებაშია. აკი, თვით ბორის ელცინმა მოუწოდა ინტელიგენციას წარმოეჩინა ახალი „ეროვნული იდეა".

თავადი ვლადიმერ ობოლენსკი, „რუს კეთილშობილთა ასოციაციის" („გვირგვინი" – Корона) დამაარსებელი აღშფოთებას ვერ მალავს. „ეს მონარქისტული პაროდიაა", – აცხადებს იგი. მისთვის ყოველივე ეს მხოლოდ თამაშია, ფარსია და ეს მაშინ, როდესაც მეფის ოჯახის მხეცურად დახვრეტილი წევრების ცხედრებს ჯერ კიდევ არ ღირსებიათ მარადიული სიმშვიდე. „ერთის მხრივ, უკანასკნელი მეფის, მისი მეუღლისა და შვილების უპატრონოდ მიტოვებული ნეშტები, მეორე მხრივ კი ტახტის პრეზიდენტი, რომელსაც რომანოვების სახლი ამად არ ცნობს. საშინელი და უხამსი კომედიაა და სხვა არაფერი".

აი, რას წერს პოლიტოლოგი ანდრეი პიონტკოვსკი: „დღეს რუსეთი გზაჯვარედინზე გაეჩხირა. მის წინ სამი გზაა: კონსტიტუციაში ძირეული ცვლილებების შეტანა, ბელორუსიასთან ერთად ახალი სახელმწიფოს შექმნა და მესამე, ყველაზე უცნაური – კონსტიტუციური მონარქიის დაფუძნება".

ინგლისური გაზეთი „დეილი ტელეგრაფი", სანდო წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ბორის ელცინმა „სამეფო ოჯახის წევრების" სტატუსი მიანიჭა დიდ თავადს გიორგი მიხეილის ძე რომანოვს, მის დედასა და დიდედას, ნიკოლოზ II ბიძაშვილის, დიდი მთავრის, ვლადიმირის ქვრივს. გიორგი მომავალ წელს, შეიძლება, მეფედ ეკურთხოს.

„დეილი ტელეგრაფის" აზრით, იდეის სულისჩამდგმელი ანატოლი ჩუბაისია: – ასე ესახება მას „ახალი რუსული იდეა". მაგრამ „რეგენტად" წოდებულმა ჩუბაისმა, რომელიც ფაქტიურად მართავს სახელმწიფოს, პირში წყალი ჩაიგუბა. ძმის სათქმელი კი იგორ ჩუბაისმა გაამხილა. როგორც ჩანს, კრემლს გიორგი რომანოვი გენერალ ლებედის „შემაკავებლად" ჰყავს შემონახული.

ჟან ბატისტ ნოდე
(„ფიგარო")

ირინა დე შიკოფი
(„ფიგარო")

ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა.

# მათ ზვიადის საფლავი ცარიელი დახვდათ...

მესამე გვერდიდან

როდესაც რუსებმა ეს ადგილი აიღეს და აქ კომენდატურა ჰქონდათ, მათ ზვიადის საფლავი ცარიელი დახვდათ, შიფერი ეფარა ზევიდან. შემდეგ, როდესაც ქალაქი ჩეჩნებმა დაიბრუნეს, კუბო უკან მოიტანეს თუ არა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ის ადგილი ახლა ნორმალური საფლავივით გამოიყურება. მომერიდა, ამ საკითხზე ძალიან ჩავძიებოდი ჩემს მეგობრებს.

**— როგორც ვიცი, არჩევნებზე პრეზიდენტის შვილებიც იყვნენ ჩამოსულები. თუ ნახეთ და ესაუბრეთ?**

— როგორც გითხარით, ქართველების დელეგაცია, უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები, მოსკოვიდან იყვნენ ჩამოსული. იქ იყვნენ თენგიზ ჩაჩავა, ნემო ბურჭულაძე,გურამ აბსანძე და სხვები. პრეზიდენტის ვაჟები, გიორგი და ცოტნე, მათთან ერთად ჩამოვიდნენ. ჩვენ ისინი ენახეთ ასლან მასხადოვთან შეხვედრის წინ, მისაღებში. ერთმანეთს ადრეც ვიცნობდით, გადავეხვიეთ, გადავკოცნეთ, მოვიკითხეთ. ჩვენი არ იყოს, ეგენიც დაბერებულან. მეტი რა უნდა გითხრათ, ინტერვიუ არ ჩამოგვირთმევია.

**— ძალიან ცუდათ მოქცეულხართ.**

— რა დროს ეგ იყო, მასხადოვი გველოდა. მერე მათ აღარ შევხვედრივართ.

**— მასხადოვმა როგორ მიგიღოთ?**

— მასთან ორ საათზე მეტ ხანს ვისაუბრეთ. იგი შეეხო ქართულ-ჩეჩნურ ურთიერთობებსაც და აფხაზეთსაც. აღნიშნა, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება არასერიოზულად უყურებს რეგიონში მდგომარეობის განვითარებას და ახალ რეალობებს. საქართველოდან ჩამოდიან დაბალი დონისა და რანგის ოფიციალური პირები, რომლებსაც არავითარი უფლებამოსილება არა აქვთ და ხშირად პირად ბიზნესზე ლაპარაკობენ. ჩვენი მხრიდან არავითარი კავკასიური პოლიტიკა არ ჩანს, ხოლო შევარდნაძის დოქტრინა მშვიდობიანი კავკასიის შესახებ, ფიქციაა. სხვათაშორის, მართლაც ასეა, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს ლოზუნგი ისე გაიგეს, თითქოს კავკასიაში არსებულ პრორუსულ ხელისუფლებასთან ზავგაევებთან და აბდულატიპოვებთან, უნდა დაემყარებინათ კავშირი და არა რეგიონის რეალურ ლიდერებთან. ასევე რაღაც სამიტების და ვიზიტების გამართვა ვლადიკავკაზში მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს როგორც ჩეჩენ, ასევე ინგუშ და დაღესტნელ ხალხზე. მართალი გითხრათ, საქართველოში ვერ გავიგეთ ჩვენი ხელისუფლების პოზიცია პრორუსულია თუ პროდასავლური და იქ რას გაიგებენ? მათ უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ საქართველოს იმ პოლიტიკური მოღვაწეების მიმართ, რომლებიც ანტიჩეჩნურ განცხადებებს აკეთებდნენ. კარგად არიან ინფორმირებულნი.

**— რას ფიქრობს ასლან მასხადოვი, ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა რას მისცემს მსოფლიოს?**

— მსოფლიო უნდა შეეჩვიოს, რომ ჩეჩნეთი აპირებს ააშენოს დამოუკიდებელი სახელმწიფო. დღეს იქ რუსეთის ჯარი არ დგას და გარშემო 50 კმ-იანი დემილიტარიზებული ზონაა გამოცხადებული. ჩეჩნეთი მდიდარი ქვეყანაა ნავთობპროდუქტებით, გაზით. განვითარებულია ასევე სოფლის მეურნეობა. ისევე, როგორც საქართველო, იგი ტრანზიტული ქვეყანაა. მას აქვს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რაც რეგიონის ეკონომიკურ აღმავლობას ხელს შეუწყობს.

**— ეუთოს აქტიური ჩარევა ჩეჩნეთის არჩევნებში ნიშნავს თუ არა, რომ ნავთობის ტრანზიტი უსაფრთხო გახდეს დასავლეთისათვის?**

— ასლან მასხადოვმა თქვა, რომ საუბრები, თითქოს ეს ომი ნავთობსადენის გამო დაიწყო და ამის გამო დამთავრდა, ძირშივე მცდარად მიაჩნია. ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა და შემდგომი დემოკრატიული განვითარება ნიშნავს რუსეთის იმპერიის ნგრევის მეორე ეტაპს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომელიც პირველი ეტაპი იყო, რუსეთს მიეცა საშუალება აეშენებინა დემოკრატიული სახელმწიფო. რუსეთმა ეს შანსი ხელიდან გაუშვა. ჩეჩნეთი პირველი გაფრთხილება და მერცხალია, შემდგომში ამას მოჰყვება ჯაჭვური რეაქციით, ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარზე დამარცხება და ტაჯიკეთის პრორუსული ხელისუფლების შეცვლა და შემდგომი ცვლილებები პრორუსულად განწყობილ რუსეთის გარემოცვაში.

**— საქართველოზე კიდევ რას ამბობს?**

— ჩვენ ერთი რასის, იბერიულ-კავკასიური რასის წარმომადგენლები ვართ და აუცილებლად უნდა ვიყოთ სტრატეგიული პარტნიორები, რათა შევქმნათ ერთად ძლიერი კავკასიის რეგიონი. ამას მხოლოდ მასხადოვი კი არა, ყველა ამბობს.

**— თვითონ ჩეჩნეთი როგორ ცხოვრობს, როგორ ცხოვრობენ იმ დანგრეულ სახლებში, რა აწუხებთ?**

— მართლაც დანგრეულია ყველაფერი. მაგრამ გასაწმენდი სამუშაოები ძირითადად ჩატარებულია, გზები და მაგისტრალები გაწმენდილი. გროზნო, არღუნი და გუდერმესი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. ზოგიერთი სოფელი მთლად აღგვილია მიწის პირიდან. მაგრამ შეიმჩნევა ინტენსიური მუშაობა ყველაფრის აღსადგენად. შენდება კერძო სახლები, სადაც დანგრეული არაა და ხალხი ცხოვრობს, გაზის, სინათლის, გათბობის პრობლემა არ არსებობს. ხდება ბენზინის გამოხდა კუსტარული წესით.

**— ქალაქში არიან მათხოვრები?**

— არიან, მაგრამ რუსები, თანაც კანტი-კუნტად. მასობრივი მათხოვრობა, როგორც აქ, არ შეინიშნება.

**— ეკონომიურად ჯერ არ უჭირთ?**

— ცხოვრობენ ტრადიციული, კერძო მეურნეობის ხარჯზე, თავისი საქონლით, სათბურებით, სახნავ-სათესით. ეს მუშაობა ომის დროსაც არ შეწყვეტილა. ჩეჩნების ფსიქოლოგია ასეთია: ბიზნესი ყველგან, ხოლო კაპიტალი ჩეჩნეთში. ასევე, თუ სოფელში ერთი ან ორი მდიდარი ადამიანია, დანარჩენებს ეხმარება. ტრადიციულად, როგორც ჩეჩნეთში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც ჩეჩნები ერთმანეთს უდგანან მხარში. იმ მდიდარის სირცხვილია, გვერდზე გამათხოვრებული ჩეჩენი ცხოვრობდეს. ესეც ტრადიციულია.

უკვე მუშაობას იწყებენ ჩეჩნეთის მმართველობითი სტრუქტურები. შექმნილია ჩეჩნეთის სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ცენტრი, რომელიც დაკავებული იქნება უახლესი ტექნოლოგიების მრეწველობაში მოზიდვით და ამით მრეწველობის აღდგენას და განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს სტრუქტურა დაემორჩილება მხოლოდ პრეზიდენტს და შარიათის სასამართლოს. მისი ხელმძღვანელია რამზან გოიტიმიროვი, რომელსაც თქვენც კარგად იცნობთ.

**— პოლიტიკური მოღვაწეების დამოკიდებულება ჩვენდამი გასაგებია, მაგრამ რას ფიქრობს ჩვენზე ჩვეულებრივი ჩეჩენი კაცი?**

— მათ ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ. ზოგიერთმა არც ის იცის, რომ დამოუკიდებლები ვართ. მათ ეგონათ, რომ ახლა რუსეთის შემადგენლობაში ვიმყოფებით და ლანძღავდნენ შევარდნაძეს, რომელმაც ამ დღეში ჩაგვაგდო. რამდენიმე პრესკონფერენცია ჩავატარეთ და თითქმის ყველგან ისეთ კითხვებზე დამჭირდა პასუხის გაცემა, რომ გაკვირვებული ვარ. როდესაც შეკრებილ ხალხს ჩვენი პასპორტები ვუჩვენე დასამტკიცებლად, რომ არა ვართ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები, უნდა გენახათ მათი სიხარული.

**— რა წონა აქვთ ჩეჩნურ საზოგადოებაში უხუცესებს?**

— ტრადიციებს იქ დიდ პატივს სცემენ. უფროს-უმცროსობის სუბორდინაცია მკაცრად არის დაცული. ერთი წლით უმცროსი ძმა ან ნათესავი უფროსთან სიგარეტსაც კი ვერ მოწევს. უმცროსი ყოველთვის ემსახურება სუფრაზე უფროსებს. რაც შეეხება უხუცესებს, მათ დიდი ავტორიტეტი აქვთ, მაგრამ სამშობლოს გამყიდველობას არც უხუცესთა საბჭოს წევრობა შველის. რუსეთის ტელევიზიამ გადასცა, თუ როგორ ხვრეტდა ბასაევი მოხუც კაცს. ეს კაცი კი გამყიდველი და მოღალატე იყო, რომელიც მრავალ დანაშაულში იყო მხილებული სამშობლოსა და პრეზიდენტის წინააღმდეგ.

**— ქალების მდგომარეობა როგორია?**

— ჩეჩენი ქალი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკაში და ნებისმიერ საქმეში, ისინი იბრძოდნენ კიდეც. ამ საკითხში რელიგიურ ტრადიციას კავკასიური სჯაბნის. ქალის კულტი და პატივისცემა ჩეჩნეთში ისეთივე ტრადიციითაა დაცული, როგორც საქართველოში.

**— ფეხებს მაინც აბანინებენ?**

— კარგი რა, ეს სულ სხვა წესია. ბასაევს ერთი რუსი ჟურნალისტი ჩააცივდა, რუს ტყვეებს როდის გაათავისუფლებო, ბასაევმა უპასუხა: ვერ გავათავისუფლებ, რადგან ისინი ჩეჩენი ხალხის საკუთრებააო. მონებად ისინი ჰყავთ სახლებში, ბოსტნებში ამუშავებენ.

**— ის ორი რუსი ჟურნალისტიც ასეა დაკავებული?**

— არა, მონებად სამხედრო ტყვეები ჰყავთ. ჟურნალისტების დაკარგვა რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედების სფეროდ მიმაჩნია, რადგან ომის დროსაც იქ არაერთი ჟურნალისტი იქნა მოკლული. ვისაც ჩეჩნეთიდან ჭეშმარიტი ინფორმაციის გატანა არ აწყობდა, ის აქრობდა და კლავდა ჟურნალისტებს.

**— საქართველოში დაბრუნების დროს ისევე გაგიჭირდათ?**

— მაგასაც მოგიყვებით. არჩევნების დამთავრების შედეგებზე მოხსენება გავაკეთეთ ეუთოს დამკვირვებლების შტაბ-ბინაში. შემდეგ გავმართეთ პრესკონფერენცია. გროზნოში, მინუტკაზე, გავხსენით კავკასიის ახალგაზრდული კავშირის წარმომადგენლობა. თუ რაიმე დეზინფორმაცია გავრცელდა საქართველოზე, იმ წუთში შეგვატყობინებენ. ასეთივე წარმომადგენლობები გვაქვს მახაჩკალაში და ბაქოში. დიდი მიზნები გვაქვს. კავკასიაში ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი, მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს ვისაუბროთ. ვიცოდით, რომ საზღვრის გადაკვეთისას აუცილებლად დაგვაკავებდნენ. მითუმეტეს, ჩემთან ერთად, რადგან ტელევიზიითაც რამდენჯერმე გამოვედი, პრესკონფერენციებიც გავმართეთ და მიტინგებშიც ვიღებდით მონაწილეობას. ამიტომ დავიყავით წვრილ-წვრილ ჯგუფებად. ერთი ჩრდილო ოსეთიდან დაბრუნდა. 3 კაცი მანქანით გავუშვით, დანარჩენები ცოტა შევყოვნდით. ის სამი კაცი ჯერ საგუშაგომდე არც იყო მისული და დაღესტნის რამდენიმე მოქალაქემ თავი შეირცხვინა და გასცა. მოხდა მათი ჩაბარება რუსეთის სამხედრო ძალებისათვის. დაგვაპატიმრეს და წაგვიყვანეს დერბენდის ცენტრალურ ციხეში, რომელიც რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამხედრო ძალებს ეკუთვნის. საშინელ პირობებში მოუხდათ ჩვენ ბიჭებს იქ ყოფნა. ყოველ საათში მკაცრ დაკითხვებს უწყობდნენ. შემდეგ ჩვენებმა ჭკუა იხმარეს, თავი მოიავადმყოფეს და სანიტარულ ნაწილში მოახერხეს გადასვლა.

**— იქაურობას თავი როგორ დააღწიეს?**

— ჯერ ერთი, ამ ფედერალური ჯარების ზოგიერთი ოფიცერი საპირისპირო სქესის იყო და ცოტა სხვაგვარი ურთიერთობები დამყარდა მათსა და ჩვენს კავკასიელ ახალგაზრდებს შორის. ისინი შეპირდნენ, გაგაპარებთო, მაგრამ აღარ გახდა საჭირო. ჩეჩნებმა გაიგეს მათი დაკავება, ატყდა ერთი ამბავი, თანაც ჩვენები ჟურნალისტებად ასაღებდნენ თავს და ვიდეომასალაც ისეთი სახის ჰქონდათ — არჩევნები, ეუთოს მისია და ა.შ. დაუჯერეს. კომენდატმა გარკვეული საფასური მაინც გამოართვა ჩვენს მეგობრებს და ხელწერილით, რომ საზღვრის გადაკვეთას აღარასდროს შეეცდებოდნენ, გაუშვეს. მათგან თავდახსნილები ახლა აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს ჩაუვარდნენ ხელში. მათ ერთი კაცი გაუშვეს ფულის მოსატანად და ორი მძევლად დაიტოვეს. ისხდნენ და კარტს თამაშობდნენ მესაზღვრეები. ჩვენმა ერთმა დაკავებულმა კარტით უამრავი ფოკუსი იცის და დაუწყო მესაზღვრეებს ნიძლავზე ფოკუსების ჩვენება. ისინი დიდი გამჭრიახობით არ გამოირჩეოდნენ და იმდენი წააგეს, რომ ბოლოს ეხვეწებოდნენ, წადით, თავისუფლები ხართო. მეფოკუსე კი თურმე თავს არ ანებებდა, იქნებ ამათ თბილისამდე გზის ფულიც გამოვტყუოო.

რაც შეგვეხება ჩვენ, შედარებით ნორმალურად დავბრუნდით. გვერდი ავუარეთ რამდენიმე საგუშაგოს. მათ ეგონათ, რომ მანქანით გადავკვეთდით საზღვარს, მაგრამ ჩვენ მატარებლით წამოვედით. საზღვრამდე ჩამოვედით მატარებლიდან, ფეხით გადავიარეთ საზღვარი და ისევ ჩავჯექით მატარებელში. ასე ჩავედით ბაქოში. იქიდან კი ჩვეულებრივად დავბრუნდით თბილისში.

**— როგორ დავამთავროთ, ჭირი იქა — ლხინი აქა?**

— ჭირი უფრო ჩრდილოეთით გავგზავნოთ, აქ კი ლხინი გვქონოდეს ყველას.

**— გმადლობთ.**

სპეციალურად გაზეთ „საქართველოსათვის“

**მანანა იაშვილი**

---

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე

**ნოდარ ჯალაღონია**

— მე იმის პრეტენზია არა მაქვს, რომ სხვაზე მეტს და სხვაზე უკეთესად ვილაპარაკებ, მაგრამ მე უბრალოდ მინდა გამოვხატო ჩემი აზრი, ჩემი შეხედულება იმ საკითხზე, რომელზედაც აქ იყო ლაპარაკი.

ერთი კვირის წინ ჩვენს ტელევიზიაში ჩატარდა კრება და კრების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა და შეიტანა შესწორებები, მაგრამ ტელევიზიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ოქმი უკან დააბრუნა და ფორმულირების შეცვლა მოინდომა, ეს არ არის სწორი. მწერალთა, კავშირში თუ პარტიის კრებაზე პარტიის წევრი რომ გამოვა, ეს ისევე უნდა იყოს, როგორც მლოცველისათვის ეკლესიაში შესვლა. ეს უნდა იყოს გულწრფელი. მე ამიტომ მინდა წინასწარ განვაცხადო, რომ შეიძლება მე ისეთი ახალი არაფერი ვთქვა, მაგრამ გამოვთქვამ ამას გულწრფელად.

ჩემთვის ფრიად სასიამოვნოა, რომ ჩვენი ხელმძღვანელობა ჩვენს აზრს იზიარებს. მართლაც კარგია და სასარგებლო, დიდი ნაბიჯია კონსტიტუცია, მაგრამ ჩემში იწვევს დაფიქრებას. მაქვს ორიოდე შენიშვნა და მინდა ეს მოგახსენოთ.

დიდი ყურადღებით გავეცანი ახალ კონსტიტუციას, რომელშიაც კარგად არის ასახული ხალხის სურვილი, მე არ ჩამოვთვლი იმ მუხლებს, რომელიც ჩვენს შშრომელებს ანიჭებს შრომის, დასვენების, განათლების უფლებებს, მრავალ სხვა სიკეთეს. ეს ყველაფერი კარგი და მისასალმებელია.

მე მაქვს ორიოდე შენიშვნა: პირველი ეხება 1 თავის მე-6 მუხლს, სადაც აღნიშნულია: „საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა,მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია“...

როგორც ცნობილია, არსებობს საქართველოს კომუნისტური პარტია, ცენტრალური კომიტეტი. გაზეთებს: „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკას“ აწერია, რომ ისინი არის საქართველოს კომისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო. ტარდება საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობა. ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი ზემოთნახსენები მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საბჭოთა საქართველოს საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა არის საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელიც განუყოფელი ნაწილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა“... შემდეგ როგორც ტექსტშია.

მეორე შენიშვნა ეხება მე-7 თავის 75-ე მუხლს. სანამ ამ მუხლს წავიკითხავდე, მე მინდა კიდევ შეგახსენოთ დიდი ლენინის სიტყვები, რომლებიც ეხება იმ საკითხს, რომელზედაც დღეს ვსაუბრობთ: „სოციალ-დემოკრატია იცავს თანმიმდევარ დემოკრატიულ სახელმწიფო წყობილებას, ის მოითხოვს ეროვნებათა აუცილებელ თანასწორუფლებიანობას და იბრძვის იმის წინააღმდეგ, რომ რაიმე პრივილეგიები ჰქონდეს ერთ თუ რამდენიმე ეროვნებას“.

და შემდეგ: „სოციალ-დემოკრატია საერთო სახელმწიფოებრივ კანონს გამოსცემს, რომელიც დაიცავს სახელმწიფოს ყოველ ადგილს, ყოველი ეროვნული უმცირესობის უფლებებს. ამ კანონების მიხედვით, ყოველი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ეროვნული უმრავლესობა შეეცდებოდა შეექმნა თავისთვის ეროვნული პრივილეგია, ან შეეკვეცა ეროვნული უმცირესობის უფლებები (სასწავლო საქმისა, ამა თუ იმ ენის ხმარების სფეროში, საბიუჯეტო საქმეში) გამოცხადებული უნდა იქნას ძალადაკარგულად, ხოლო ასეთი ღონისძიებების გატარება აიკრძალოს დასჯის შიშით“.

მე მინდა სწორედ ლენინის ამ შეხედულების ფონზე განვიხილო 75-ე მუხლი.

როგორც ცნობილია, ენა ერთ-ერთი პირველი კომპონენტთაგანია ეროვნულობის, რადგან „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სუვერენული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო (თავი - 7, მუხლი 68), ამიტომ მას უთუოდ უნდა ჰქონდეს თავისი სახელმწიფო ენა. საქართველოს სახელმწიფო ენა ოდითგან იყო ქართული ენა (რაც აღნიშნული იყო წინანდელ კონსტიტუციაში).

ახლანდელი კონსტიტუციის პროექტში კი აღნიშნულია, საქართველოს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივ განვითარებისათვის.

ნიშნავს თუ არა ზემოთნახსენები „ქართული ენის ხმარება“, რომ ის სახელმწიფო ენაა ჩვენს რესპუბლიკაში, და თუ ნიშნავს, მაშინ როგორც გავიგოთ ამ მუხლის მომდევნო სტრიქონები: „საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს, რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“...

ჩემის აზრით, ამ მუხლის ორ ნაწილად გაყოფა ხელოვნური და ფორმალური ხასიათისაა. თუ პირდაპირ ვიტყვით სათქმელს, ის ჩამოყალიბდებოდა შემდეგნაირად: „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში — ქართული, რუსული, აგრეთვე სხვა ენების ხმარებას, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს“...

კიდევ ვიმეორებ, ძირითადი აზრი 75-ე მუხლისა ესაა და თუ ეს ასეა, მაშინ იბადება კითხვა, რომელი ენა უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ენად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში?

პირადად ჩემთვის 75-ე მუხლის ეს საკითხი ბუნდოვანია, მაგრამ ჩემთვის ერთი რამ არ არის ბუნდოვანი. კომუნისტური იდეოლოგიით, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა უნდა იყოს ქართული ენა. როცა ესა თუ ის მუხლი იცვლება კონსტიტუციაში, მას აქვს მოტივირება. ჩემთვის პირადად გაუგებარია, რა პოლიტიკური, სოციალური ან ეკონომიური ცვლილებები მოხდა ჩვენს რესპუბლიკაში ამ წლების განმავლობაში, რომ მან დღის წესრიგში დააყენა ენის საკითხი.

ჩემის აზრით, უნდა დარჩეს წინა კონსტიტუციის მუხლი ენის შესახებ და ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს თავისუფალ ხმარებას რუსულ, აგრეთვე სხვა ენების, რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს, იზრუნებს მათ განვითარებაზე (ტაში).

თავმჯდომარე — სიტყვას ვაძლევ ნელი გაბრიჩიძეს!

**გაგრძელება იქნება**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## იყიდება

აგურის „8“ სართულიანი სახლის მე–6 სართულზე 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა. 3 მეტრიანი ჭერი, 20 კვმ დარბაზი + (2+18 კვმ.) + 15 კვმ ლოჯია + 12 კვმ სამზარეულო. აბაზანა და საპირფარეშო ცალ–ცალკე ფართე ჰოლი, 3 აივანი და სარდაფი. ბინა სუფთაა, არსებობს გარაჟისათვის ადგილი. მიაკითხეთ შემდეგ მისამართზე: გ.ბრწყინვალეს 5ა, ბინა 16 ელექტროქვესადგურის გვერდით. 20–დან 22 სთ–მდე.

---

იყიდება 2 ოთახიანი ბინა ვაჟა–ფშაველას VI კვარტლის 35 კორპუსში, 5 სართულიანი სახლის V სართულზე ლოჯიით, საშუალო რემონტით, იზოლირებული, პრივატიზებული. ფასი 12000$ ტელ. 35–11–34

---

ერთოთახიანი ბინა ორთაჭალაში, გორგასლის 41 ბ. 102, VI სართული, ტელეფონით, ბუნებრივი გაზი მუდმივად არის. გარემონტებული. საწყისი ფასი 8000 ლარი ტელ. 78–57–28

---

კერძო სახლი მიწის ნაკვეთით ვაკეში, ტაბიძის I შესახვევი №22. სახლის საერთო ფართი 210 კვმ მეტრია ეზოს ფართი 1600 კვმ შეიძლება სახლზე დაშენება ან ეზოში ახალი სახლის აშენება. მშენებლობის უფლება დაშვებულია ტელ. 29–21–75 ფასი 300000$ იკითხეთ ლილი ან კობა

---

სასწრაფოდ 5–ოთახიანი მშენებარე ბინის კარკასი, ვაკეში, საცურაო აუზთან 200 კვმ საერთო ფართით, II სართულზე, ფასი 36000 დოლარი ტელ. 29–18–57

---

ლაგოდეხის რ–ნის სოფელ გელათში 2 სართულიანი სახლი ეზოთი, რომლის ფართია 700 კვმ აქვს სახნავი 5000 კვმ ხეხილით, ხეივნით. ფასი 10000 ლარი ტელ. 38–70–97 იკითხეთ შოთა

---

2 ოთახიანი მაღალჭერიანი გარემონტებული ბინა ტელეფონით, დიდუბეში, მეტრო წერეთელთან. იტალიურ ეზოში II სართულზე ფასი 15000 დოლარი ტელ. 34–72–56; 96–69–75 გოჩა

---

3 ოთახიანი ბინა ვაჟა–ფშაველას III კვარტალში, III კორპუსი, II სადარბაზო, IV სართულზე სამოთახიანი ბინა ლოჯიით, ტელეფონით 31–42–79 ზურა ან 23–57–51 მიშა, მაია, ფასი 32000$

---

2 ოთახიანი ბინა ნუცუბიძის III მკ–რის II კვარტალში, VII კორპუსი, 9 სართულიანი ბინის VII სართულზე. ნახევრად გარემონტებული, ფასი 15000$ ტელ. 35–11–34

---

2 ოთახიანი ბინა ვაჟა–ფშაველას 35–ში, ფასი 23000$ ტელ. 72–07–59

---

1 ოთახიანი ბინა ვაჟა–ფშაველას VI კვ 38–ე კორპ. ბინა 17 ფასი 6000$ ტელ. 30–06–08 ლია ან ნუკრი

---

1 ოთახიანი ბინა თემქის IV მ–რ კორპ. 3, სართული VII, ბინა №42 რკინის კარებით, ბუნებრივი გაზით. ფასი 4000$ ტელ. 22–17–27 ნუნუ

## ქირავდება

ვაქირავებ 1 ოთახიან იზოლირებულ, გარემონტებულ ბინას, მეტრო „პოლიტექნიკურთან“. დამხმარე სათავსოებით, ავეჯით, ტელეფონით. საწყისი ფასი 100 ლარი. ტელ. 38–74–04

---

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა მიცკევიჩის ქუჩაზე ავეჯით. ფასი 250 დოლარი. ტელ. 99–75–59; 66–27–65

---

ქირავდება 3 ოთახიან ბინაში 1 ოთახი. ტელეფონით დელისის მეტროსთან. გოგონებზე, ფასი 50 ლარი. ტელ. 39–56–80

---

ქირავდება თემქაზე ოროთახიანი იზოლირებული ბინა, ავეჯით. არის გათბობა და ბუნებრივი გაზი. ფასი 80 ლარი. ტელ. 60–31–21

## ავტომანქანა

სასწრაფოდ იყიდება BMW-316, თეთრი ფერის, ორკარიანი, ლუქით. 1984 წლის გამოშვება. საწყისი ფასი 3500 დოლარი ტელ. 96–69–75 იკითხეთ თამაზი.

იყიდება BMW–ს საბურავები და დისკები. რადიუსი 14 სმ. ფასი 10 ლარი (ერთი ცალი). ტელ. 36–38–55 ზაზა

იყიდება „უაზი–471“, უფანჯრებო, 1989 წლის გამოშვება, გარბენი 1000 კილომეტრი. ფასი 8000 დოლარი. ტელ. 93–37–86 მერაბი

---

იყიდება ავტომანქანა „ფიატ–ქრომა“, 1988 წლის გამოშვება. ფასი 5700 დოლარი. ტელ. 96–74–75 გიორგი


საქართველო

ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს

დაგვირეკეთ ყოველდღე:

93–18–41

საქართველო


# საქართველოში ყველაზე გავრცელებული ათასი გვარი

პირველი გვერდიდან

481. ბუაძე 1861
482. კაცაძე 1861
483. მაჩიტიძე 1861
484. კაციტაძე 1860
485. ქურციკიძე 1859
486. შეროზია 1851
487. გურეშიძე 1850
488. იმნაძე 1849
489. კუკავა 1848
490. ფხალაძე 1847
491. ღარიბაშვილი 1844
492. არველაძე 1843
493. ჯიბლაძე 1843
494. თვაური 1841
495. სოსელია 1836
496. ბაბუნაშვილი 1835
497. ნარიმანიძე 1832
498. გურული 1831
499. კობაიძე 1831
500. დარბაიძე 1830
501. ჩაფიძე 1830
502. ხუჯაძე 1829
503. იობიძე 1826
504. ლომაძე 1820
505. ნიკოლეიშვილი 1820
506. ბალათურია 1819
507. დარჩი 1819
508. მალიქიშვილი 1817
509. ჯორბენაძე 1810
510. მინასიანი 1809
511. სტურუა 1809
512. დარასელია 1806
513. მირცხულავა 1804
514. ვართანიანი 1797
515. ფარტენაძე 1796
516. ალავიძე 1790
517. შუკაკიძე 1790
518. გუჯაბიძე 1789
519. ჩხეტიანი 1786
520. ბიძინაშვილი 1785
521. გოგიძე 1782
522. მამფორია 1779
523. გორგოძე 1775
524. ფანცულაია 1773
525. ხაჩატუროვი 1773
526. პაპუნაშვილი 1768
527. ფანჩულიძე 1768
528. გვარამია 1766
529. ფაცაცია 1765
530. გულორდავა 1761
531. შარიქაძე 1752
532. აფშილავა 1748
533. აკობია 1744
534. ჩალაძე 1744
535. გეგეჭკორი 1743
536. შიუკაშვილი 1742
537. ზაალიშვილი 1741
538. ნარსია 1741
539. ჯიმშელეიშვილი 1738
540. დარსალია 1734
541. სეხნიაშვილი 1734
542. ზურაბაშვილი 1733
543. ოქრუაშვილი 1732
544. გედენიძე 1731
545. გოგიბერიძე 1730
546. ბერიკაშვილი 1729
547. ლილუაშვილი 1726
548. გიგაშვილი 1725
549. ფიცხელაური 1721
550. კოპალეიშვილი 1718
551. ხარშილაძე 1716
552. ზაქარაია 1715
553. ხიმშიაშვილი 1714
554. ჯულაყიძე 1713
555. მურადაშვილი 1704
556. თევდორაშვილი 1703
557. ჯანაშვილი 1701
558. ბერია 1698
559. ძაძამია 1697
560. ხუჭუა 1694
561. ქობულაძე 1691
562. კლდიაშვილი 1687
563. ლეკიშვილი 1686
564. აფხაზავა 1683
565. ნიკურაძე 1683
566. ნინუა 1681
567. ზარნაძე 1680
568. გოგოლაშვილი 1675
569. ლაშხია 1674
570. დეკანოიძე 1673
571. მებონია 1672
572. გოგრიჭიანი 1669
573. ხომერიკი 1668
574. კასრაძე 1666

გაგრძელება იქნება

# რა, როდის და რომელ არხზე

## 22 თებერვალი. შაბათი

**1** 9.00 „ცხრიდან თორმეტამდე“ – შემეცნებით–გასართობი პროგრამა 12.00 მოამბე. „XXI“. პოეზიის საღამო ქარელში. ქართული მხატვრული ფილმი „გამოცხადება“. ოლეგ ბასილაშვილი. 18.00 „მოამბე“. საქართველო და გარე სამყარო. ცეკვავს ანსამბლი „სიჭაბუკე“. თენგიზ ჯაფარიძე. საქართველოს კონსტიტუცია. 20.00 „მოამბე“. 20.35 მხატვრული პროგრამა „ილუზიონი“. იტალიური მხატვრული ფილმი „გაცრუებული ოცნებები“ (მთავრობებში მასიმო ჯიროტი და სილვანა პანპანინი). 23.45 „ქეიფის საათი“.

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი“. 19.20 საბავშვო გადაცემა „ჩიპო“. 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი“. 22.20 ფრანგული მხატვრული ფილმი „ბოშა“ (მთ. როლში ალენ დელონი) პროგრამის დასასრულს – კონცერტი.

**კავკასია** 12.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 12.15 მულტფილმები. 12.30 რეკლამა და მუსიკა. 13.30 ინდური მხატვრული ფილმი. 15.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა.

**ОРТ** 9.55 “ЮНГА СЕВЕРНОГО ФЛОТА“. Киноповесть. Реж.В.Роговой. В ролях - И.Скляр, В.Никулин, В.Лановой (Мосфильм). 11.25 Мультсериал. 11.45. Домашняя библиотека. 12.00 17.00, 20.00 НОВОСТИ 12.10 Слово пастыря. 12.30 Не зевай! 13.00 Утренная почта. 13.35 Смак. 13.55 Приглашение к музыке. 14.25 Все фильмы Гайдая. “ПО УЛИЦАМ КОМОД ВОДИЛИ“. В ролях - Е.Весник, И.Ясулович, В.Ивашов, Н.Селезнева, А.Демьяненко, В.Этуш. 15.40 Умники и умницы. 16.30 Очевидное - невероятное. 17.20 Чемпионат мира по лыжному спорту. 17.45 Созвездие “Триумф“. 18.40 В мире животных. 19.15 Колесо истории. 20.20 КВН-ассорти. 20.55 “НЕ МОЖЕТ БЫТЬ“ Муз.сатирическая комедия. Реж.Л.Гайдай. В ролях - М.Пуговкин, Н.Гребешкова. 22.45 Сопкойной ночи, малыши! 23.00 Время. 23.55 “СЕГУН“. 1.00 Каламбур. 1.30 Мелодрама “ПУТЕШЕСТВЕННИК“. В ролях - С.Шепард, Ж.Дельпи (ФРГ-Франция).

**РТР** 10.00 Мультфильмы. 11.25 “ФРАМ-ПОЛЯРНЫЙ МЕДВЕДЬ“ Сериал. 11.15 Тележурнал “Здоровье“. 11.25 Док. фильм “Живы будем“. 12.15 Клуб “Адреналин“. 12.30 По вашим письмам. 13.00 Вести в одиннадцать. 13.30 Парламентская неделя. 14.15 Красная книга 14.30 Лучшие игры НБА. 15.30 Анонимные собеседники. 16.00 Вести про... 16.20 Телесериал “МОЛОДОЙ ПИКАССО“. 3–я с. 17.10 Диалоги о животных. 17.40 Поет О.Басилашвили. 17.55 21-й кабинет. 18.25 Поэт в России - больше, чем поэт. 18.50 Бесконечное путешествие. 19.20 “Темная“ для... 19.35 Субботний вечер Российского телевидения. 19.50 Экипаж Л.Филатова. 20.55 “Аншлаг“ и К. 22. Вести. 22.50 Триллер “БЕГИ!“ Реж. Д.Барроуз. В ролях: П.Демпси, К.Престон (США). 0.45 Совершенно секретно. 1.40 Чемпионат мира по лыжным видам спорта. 2.10 Репортер. 2.40 Программа “А“. 3.35 Романтическая драма “В ТОЙ ОБЛАСТИ НЕБЕС“. Реж.И.Черницкий. В ролях: С.Крючкова, В.Меньшов.

**НТВ** 10.00 Сегодня утром. 10.25 Карданный вал. 10.40 Новости дня. 10.50 В печать. 11.10 Ретро-новости. 11.20 Сладкая жизнь. 11.30 Среда. 11.45 Живые новости. 12.00 Мультсериал. 12.30 Пойми меня. 13.30 “ТАРЗАН“. 13.45 Мультфильмы. 14.40 Сегодня днем. 14.20 Шинель №5. 14.35 Новости дня. 14.45 Компьютер. 15.00 Хоккей. Чемпионат России: “Х/К ЦСКА“ – “Сибирь“. 17.30 “Панорама“ с В.Овчинниковым В мире животных. 18.00 Сегодня днем. 18.20 Без галстука. 18.40 Чистосердечное признание. 19.00 Звездная пыль. 19.30 Мультсериал. 20.00 Время “Ч“ с О.Кучкиной. 20.40 Док. сериал “Самые громкие преступления 20 века“. “Убийство Д.Ф.Кеннеди“ (Великобритания). 21.00 Сегодня вечером. 21.30 “ДЕЛА СМЕШНЫЕ, ДЕЛА СЕМЕЙНЫЕ“. Сериал. 22.00 Худ.фильм “СЕРЕБРЯНАЯ ПУЛЯ“. Реж. Д.Эттаяс. В ролях: Э.Макгил, К.Хейм (США). 23.45 Куклы. 0.00 Сегодня вечером. 0.45 “БАЙКИ ИЗ СКЛЕПА“. Сериал. (США) 1.40 Русский альбом. 2.00 Империя страсти. 2.40 Третий глаз. 3.10 Ночной канал “Плейбой-шоу“.

## 23 თებერვალი. კვირა

**1** 9.00 „ცხრიდან თორმეტამდე“ – შემეცნებით–გასართობი პროგრამა 12.00 მოამბე. სპა. რეიტინგი. ამერიკული მხატვრული ფილმი „უცხო“. (მთ. როლში სიგურნი უივერი). კვირა. დღე. საბავშვო სტუდია გთავაზობთ. ინტერმეცო. 18.00 „მოამბე“. გლობუსი. აფხაზეთის ტელევიზია. ინტელექტკლუბი. ეთერ კაკულია. „როდის“. საგანძური. 21.00 „მსგეფსი“. 21.50 ვიდეოპატრული 02“. 22.00 სპორტლოტო. სატელევიზიო კინოდარბაზი. სცენები ოპერებიდან 23.45 „ქეიფის საათი“.

**2** 19.00 „ტაიმ–აუტი“. 19.20 მულტფილმები. სპორტული გადაცემა. ვიდეოანონსი. „ვარსკვლავები გვამცნობენ“. 21.55 „ტაიმ–აუტი“. 22.15 რეკლამა. 22.30 ამერიკული მხატვრული ფილმი „კლდე“ (მთ. როლებში შონ კონერი და ნიკოლას კეიჯი). პროგრამის დასასრულს – კონცერტი.

**კავკასია** 12.00 დილის გამამხნევებელი ვარჯიში. 12.15 მულტფილმები. 12.30 რეკლამა და მუსიკა. 13.30 მხატვრული ფილმი; 15.30 საინფორმაციო პროგრამა. რეკლამა და მუსიკა. მულტფილმი. დოკუმენტური სერიალი. ჯაზ–პარნასი. ტელესტუდია „ტაო“ წარმოგიდგენთ.

**ОРТ** 9.00 “СУВОРОВ“. Исторический фильм. Реж.В.Пудовкин. 11.35 Мультфильмы. 12.00, 17.00, 1.45. Новости 12.15 Непутевые заметки Дм.Крылова. 12.30 Пока все дома. 13.10 Утренняя звезда. 14.00 Служу России! 14.30 Играй, гармонь любимая! 15.00 Провинциальные истории. 15.30 Сериал “Подводная одиссея команды Кусто“. 16.25 Смехопанорама. 17.20 Возврашение Третьяковки. 17.45 Премьера сериала “Симфонические тайны“. 18.15 Куб путешественников. 19.00 Мультфейерверк. 19.45 Один на один. 20.15 Счастливый случай. 21.10 “ОФИЦЕРЫ“. Кинороман. В ролях - Н.Юматов, В.Лановой (Россия). 22.50 Киноафиша. 23.00 Время. 23.40 “СЕГУН“ Заключительная серия. 0.45 Лыжи. Чемпионат мира. 1.15 Футбольное обозрение. 1.55 “ОЖИДАНИЕ ПОЛКОВНИКА ШАЛЫГИНА“. Худ. фильм.

**РТР** 10.00 Мультфильмы. 10.35 “ФРАМ - ПОЛЯРНЫЙ МЕДВЕДЬ“. Сериал. 11.25 Лотерейные новости. 11.40 Пилигрим. 12.05 Доброе утро, страна! 12.45 Присяга. 13.15 Русское лото. 13.55 Аура голубой планеты. 14.00 Книжная лавка. 14.25 Чемпионат мира по лыжным видам спорта. 15.30 Человек на земле. 16.00 Вести. 16.20 Док. сериал “МОЛОДОЙ ПИКАССО“. (Испания).17.15 Виктория. 18.20 Сад культуры. 18.45 Ничего, кроме. 19.00 Мультфильмы. 20.00 Международное обозрение. 20.40 Телескоп. 21.20 Караоке по-русски. 22.00 Зеркало. 23.00 Репортаж ни о чем. 23.15 Военный роман “ЧИСТОЕ НЕБО“. Реж. Г.Чухрай. В ролях: Н.Дробышева, Е.Урбанский (Мосфильм). 1.10 К-2 представляет программу “Колизей“. 2.05 У всех на устах. 2.20 У Ксюши. 2.50 Рек-тайм. 3.05 Суета вокруг рояля.

**НТВ** 10.00 Сегодня утром. 10.20 Новости дня. 10.35 Культпросвет. 10.50 Парад репортеров. 11.15 Ретро-новости. 11.25 Впрок. 11.40 Среда. 12.00 Устами младенца. 12.30 Пойми меня. 13.00 “ТАРЗАН“. 13.45 Мультфильм. 14.00 Сегодня днем. 14.20 6 соток. 14.35 Капитал. 14.45 Новости дня. 15.00 Книжный магазин. 15.30 Наше старое кино. Комедия “СЛУЖИЛИ ДВА ТОВАРИЩА“. Реж. Л.Осыка. В ролях: С.Романюк, Л.Ефименко (Украина). 20.30 Русские гвозди. 21.00 Сегодня вечером. 21.30 “ДЕЛА СМЕШНЫЕ. ДЕЛА СЕМЕЙНЫЕ“. Сериал. 22.00 Сериал “ГАНГСТЕРСКИЕ ХРОНИКИ: АМЕРИКАНСКАЯ ИСТОРИЯ“. (США). 23.00 Итоги. 0.10 Комедия “СБРОСЬ МАМОЧКУ С ПОЕЗДА“ Реж.Д.Де Вито. В ролях: Д.Де Вито, Б.Кристал (США). 1.55 “Комсомольская правда“ представляет. 2.50 Магазин на диване. 3.20 Ночной канал “Эротические шоу мира“.

# ლატარეა ყველასათვის

## 21 თებერვალს გამართულ მორიგ ტირაჟში „ლატარია ყველასათვის“ მოიგო შემდეგმა ნომრებმა:

5000 ლარი – №272624;
1000 ლარი – №154142;
900 ლარი – №419602;
800 ლარი – №446940;
700 ლარი – №657110;
600 ლარი – №446895;
500 ლარი – №278544;
400 ლარი – №556255;
300 ლარი – №166532;
200 ლარი – №390137;
100 ლარი – №132088;
90 ლარი – *25206;
80 ლარი – *39313;
70 ლარი – *28925;
60 ლარი – *50208;
50 ლარი – *05806;
40 ლარი – *76775;
30 ლარი – *65023;
25 ლარი – *75665;
20 ლარი – *67526;
10 ლარი – ***849;
10 ლარი – ***544;
10 ლარი – ***001;
10 ლარი – ***860;
10 ლარი – ***491.

„ლატარია ყველასათვის“ გათამაშდება ყოველ პარასკევს.

მეექვსე ტირაჟში მოგებული თანხები შეგიძლიათ მიიღოთ:

გორში: 50, 100 ლარი მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე, 300 ლარზე მეტი თბილისში.

ქუთაისში: 50, 100, 300, 500 ლარი მოგებები გაიცემა „თბილკომბანკ-ის“ ფილიალში ორშაბათს 15.00 საათიდან.

რუსთავსა და თბილისში: მოგებული თანხები გაიცემა თბილისში, სპორტის სასახლის სალაროებში 12-დან – 14 სთ-მდე – 25 ლარი 50 ლარი – შაბათს 14.00–16.00 სთ-მდე. 50 ლარის ზევით 11.00–12.00 სთ.

ბათუმში: მოგება გაიცემა ბილეთის შეძენის ადგილზე (500 ლარამდე).

1997 წლის VII ტირაჟის ლატარიის ბილეთების მფლობელები, რომელთა ბოლო ოთხი ციფრია **1121** გათამაშებაზე შეუძლიათ 28 თებერვალს ტელევიზიის შენობაში მობრძანდნენ.

ავტომანქანა მოიგო ლატარიის ბილეთმა №**452382**

## ლატარია «დაბადების დღე» 21 თებერვლის ლატარიის შედეგები

*მომგებიანი ციფრებია*

1. დაბადების თვე
2. დაბადების რიცხვი
3. დაბადების წელი 19
4. ლატარიის ბილეთის ბოლო ორი ციფრი.

| | |
|---|---|
| 0 | 8 |
| 2 | 5 |
| 9 | 5 |
| 6 | 0 |

თვე და რიცხვის გამოცნობისათვის მოგება 10 ლარი თითოეულს. თვე, რიცხვი და წელი – ნივთმოგებები ტელევიზორი „ფილიპსი“ თითოეულს. ყველა ციფრის გამოცნობისთვის მოგება სუპერ-პრიზი – ბინა.

10-ლარიანი მოგებები გაიცემა მეტროს სადგურ „წერეთლის“ ვესტიბიულში.

*დანარჩენი მოგებები გაიცემა ფირმის ოფისში*

მის: ალმაშენებლის 89/24 (მეტრო „მარჯანიშვილის“ თავზე), თბილქალაქპროექტის შენობა, V სართული, ოთახი 22.

*გისურვებთ წარმატებას შემდეგ გათამაშებაში.*

## როდიონოვის ნაჩუქარი ლეკვი დაეკარგა ნადიბაიძეს

როგორც არაოფიციალური წყაროდან გახდა ცნობილი, თავდაცვის სამინისტროს ტერიტორიაზე დაიკარგა ორი თვის აჩარკის ლეკვი, რომლის მოსაძებნად არაოფიციალური საგანგაშო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. იმავე სარწმუნო წყაროს ცნობით, დაკარგული ლეკვი, რომლის მპოვნელს ვნადიბაიძე ჰპირდება დასაჩუქრებას 5 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს თავდაცვის მინისტრს მოსკოვში ბოლო ვიზიტის დროს აჩუქა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ი.როდიონოვმა.

## „ქართველი ხალხის ჯალათი საქართველოში არ უნდა ჩამოვიდეს“

გუშინ კ.გამსახურდიას საზოგადოებამ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის საქართველოში მოსალოდნელ ვიზიტთან დაკავშირებით პრეს-კონფერენცია გამართა. საზოგადოების თავმჯდომარის ვ.ბოჭორიშვილის თქმით, ი.როდიონოვის ვიზიტი საქართველოსათვის დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა. მისივე თქმით, ი.როდიონოვი სისხლის სამართლის დამნაშავეა, საქართველოში გამოჩენის შემთხვევაში იგი უნდა დააკავონ და გამოძიებას, შემდეგ კი სასამართლოს გადასცენ. ვბოჭორიშვილმა ჟურნალისტებს მოუწოდა, კატეგორიულად დაგმონ ის სამარცხვინო აქტი, რაც ქართველი ხალხის ჯალათის საპატიო სტუმრის რანგში მიღებაა. მისივე თქმით, როდიონოვის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით აუცილებელია პროტესტის გამოთქმა და უარყოფითი დამოკიდებულების გამომჟღავნება. „ერი, რომელიც ი.როდიონოვს უდრტვინველად მიიღებს, მას ერი აღარ უნდა ერქვას. თუ გრანდიოზულ აქციებს არ მოვაწყობთ, ვიმსახურებთ იმას, რომ როგორც სულიერ მონას, ისე მოგვექცნენ“, – განაცხადა საზოგადოების თავმჯდომარემ. (იფრინდა)

# კაიფვორდი

**ჰორიზონტალურად:** 1. „ნესვის“ მოყვარული ურჩხული (რუს.კავშ.); 4. თავსატეხი გზა, სადაც „ლაბაეთი ვერ გადიხარ“; 6. „ეულად“ მყოფი „ულამაზესი“ შესტიორკა დარეჯანისა (ფილმ.); 12. „გარე-გარე“ დამავალი არამზადა; 15. კახეთის „თვლებიანი“ სოფელი; 16. „ხეირიანი“ მუდრეგი; 18. კახელი „ჯოების“ საყვარელი მწვერვალი, რომელიც „მთვარემდე“ აღწევს (რუს.კავშ.); 19. „ფარის“ გასაშკურკი საშუალება; 20. დიდყურებიანი დანადგარი, სადაც „კატო“ დიდ პაჩოტშია; 23. თითქმის გაჩერებული ქალის სახელი; 24. „ხეთი“ აშენებული „ინდირა განდის მამის სახელობის“ კუთხე საქართველოში; 25. მინორში აყვანილი მეექვსე ნოტი; 27. „შესახტუნებელი“ გამოქვაბული; 29. „შუბაში შესანახი“ საბრძოლო იარაღი; 30. „ზაფხულში“ თეატრალური წარმოდგენა (რუს.კავშ.); 31. ის, რაც ვერ გაიყვეს ამირანმა და გრამიტონმა (ფილმ.) (სიმღ); 34. „პარიპარალეზე“ მომღერალი, აწ გარდაცვლილი ინდოეთის პრეზიდენტის გვარი; 35. „20 კაპიკად“ შეფასებული ირანის მბრძანებელი; 38. „უმი“ დღესასწაული; 39. ბევრი „ლალის“ საყვარელი სიმღერა; 41. ინდოელების „ომში“ წასაკითხი წიგნების კრებული; 42. ძველი ბიჭი, რომელსაც არაფერი „ერგო“; 43. დედაქალაქი, სადაც „ურა-ურას“ გაიძახიან ქართულ „ტონზე“; 44. „დამაკებული“ საქანელა; 46. „შალით“ შეფუთული ექთანი; 48. „ციალას“ ვარსკვლავების მოძრაობა ცაზე; 49. გოგონა, რომელსაც თავ-ბედს უწყევლიან ოთხი გიას წარმომადგენლები (სიმღ.); 50. კლაუდიას „სახლზე გადასახურავი“ გვარი; 51. სადღეგრძელოს დალევისას ეს სასმისი „ხან უკან უნდა დაიჭირო, ხან წინ“; 52. მუსიკალურ ნოტზე დაწყებული „იას“ მოსამსახურე; 53. ქვის „სროლის“ ხანა ძველად; 54. „ნავით“ გადასატანი საწვავი; 55. ეს შოკოლადი გინდა რძეში ჩააგდე, გინდა თაფლში, მაინც „საყვარელია“ (რუს.კავშ.); 56. „ვარდებით“ და სმით აკიდებული დაავადება (რუს.კავშ.); 59. „ფურცლებზე“ მოღადავე ზღაპრის გმირი; 61. „ბაყეში“ ჩასაწყობი საზღვარი; 62. პატარა მომღერალი ქალბატონი, რომელიც იუწყება, რომ „უმად“ არის მოხარშული; 64. „იკას“ სახის გამომეტყველებაზე დადგენილი „ორი ერთი და იგივე მუსიკალური ნოტი“; 65. ის, რაც ბნელ ოთახში „ჯარმა ფანრით“ იპოვნა; 66. ყველა „ვანში“ დაბადებული არისტოკრატი ქალის სახელწოდება, რომელსაც სიმღერის დროს „ბანის“ მიცემა შეუძლიათ; 68. „სალ კლდეზე“ გადმომდგარი „გორგალზე“ დასახვეი მეფე; 70. სადღესასწაულო დღეებში გასასროლი „სალი“ მაშხალა; 71. კახელი „ჯოების“ საყვარელი მჟავე; 72. „ნორიოში“ დაბადებული „ჯინიანი“ ქართველი მსახიობი; 73. დედაენის მსწავლელი ბინძური და ამასთანავე გულკეთილი დევი (მულტ.); 74. „ვალით“ დაცული „საინტერესო“ დისტანცია; 75. დიდი „ოროსანი“ სადგომი, სადაც იბადებიან „ტორიანებიც – უტოროებიც“ „ინდაურებიც – ბატებიც“, და თვით „ჩერეპახებიც“; 76. „სულის“ ამომხდელი წამალი დიაბეტიანებისთვის.

**ვერტიკალურად:** 1. „ჯანიანი“ ქალის სახელობის აივანი მეტეხთან; 2. „გავერანებული“ მარიანა (ფილმ.); 3. სექსუალური ტერმინი, რომელიც გაზეთზე ორჯერ წერია; 4. „ჯინის“ სახელობის უცხოური მანქანა; 5. „ზეთით და კაკლით“ აშენებული სოფელი; 6. „წამში“ მოწყვეტილი ბალახის ღერო; 7. „ხულოში“ არნახული წელიწადის დროს; 8. „ჩიჩის“ მოყვარული საქართველოს ხშირი სტუმარი; 9. „ოდიდგანვე“ ცნობილი სპირტიანი მალამო; 10. ურჩი და გაუტეხელი; 11. ცარიელი გაზეთი, რომელიც „თან გვესვრის“ დროზე შემავსეთო; 14. სტალონეს კავკასიონის ერთ-ერთ „უღელტეხილზე“ გადაღებული ფილმი; 17. კოსმოსური ხომალდი, რომელშიც „კეტები“ თუ არ გაცვია, არ შეგიშვებენ; 21. „ტრაქტორით“ შემოვლებული წრიი; 22. თანამშრომლების „ჩაციებული“ ტელეფონი; 26. „ღლავების“ დასალევი გაზიანი წყალი; 28. ზურას გურიაში „გასაქცევი“ ადგილი (თათ.კავშ.) 32. „ფონს“ გასული კაცის „ტელევიზორში“ დასაკავშირებელი საშუალება; 33. „ფილით“ ნაშენები „მონების“ საკონცერტო დარბაზი; 34. „ნოეს და გიას“ მონატრებული სამშობლო; 35. „მერის საყვარელი შაშვი“, თანამდებობის პირად წოდებული; 36. პერიოდი, როდესაც პატარას დიდთან არ გასდიოდა მართალი; 37. მუსიკალური ბგერა, რომლის გაგონებამაც „ნანულის“ გული დასწყვიტა; 40. „ლეონტიევის „ლოთებისადმი“ მიძღვნილი სიმღერა (რუს.კავშ.); 43. ნიკულინის განუყრელი პადელნიკი, რომელიც არც უარყოფს რომ „იცინის“; 45. „რაციით“ გამოძახებული სასწრაფო; 47. „ჯემის“ მოყვარული ინდოეთის სუპერვარსკვლავი; 57. ეშხიანი აბრაგის „გარანდული და ზარალი“ ბიძაშვილი; 58. მხატვრის მთავრი და „მუნჯი“ და „მუნჯი“ მასალა; 60. „ონში“ გაკეთებული სათამაშო მოედანი; 61. ინგლისის პარლამენტში მოსაწევი „ნატოს“ სიგარეტი; 63. „სუპის“ მოყვარული რასპუტინის ავტორი; 64. „შენთვის არასასურველი“ მიმზიდველი სხეული (რუს.კავშ.); 66. ინდოეთის „დაბომბილი“ ქალაქი; 67. „ვანელი“ კაცის სახელი; 69. ჯლანების მოყვარულის მამა, ძია...

კოკა ბაიდოშვილი



### წინა ნომრის კაიფვორდის პასუხები

**მწოლიარედ:** 1. ანალიზი; 3. შავნაბადა; 7. ანა; 13. დო; 14. ოპერაცია; 15. ომეგა; 17. თამბაქო; 19. ადა; 20. კვახი; 24. ვერა; 27. იალბუზი; 28. ანგოლა; 31. ანი; 32. რეკორდი; 33. ის; 35. ფარაონი; 37. ჭორი; 38. კაბინა; 40. ისანი; 41. მი.

**მდგომიარედ:** 2. ნიკორწმინდა; 4. ამო; 5. ნიკე; 6. ბრმა; 7. ალქაქი; 8. ლოქო; 9. საირმე; 10. მეანი; 11. გელათი; 12. ნახატი; 16. მსაჯი; 20. კატერი; 21. იენა; 22. პაპირუსი; 23. ქუჩა; 25. ოოდი; 26. იარა; 29. ეკალი; 30. შოვი; 31. აიდა; 34. სურა; 36. ინა; 39. ბუ.

წინა კაიფვორდი შეადგინა ნუნუ ლოლაშვილმა

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444